# აჭარა

გამოდის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№31 (25.055) შაბათი, 25 - 27 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 14-19, შიდამთიან რაიონებში - 13-18, მაღალ მთაში - 7-12 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 761 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

## კრიალოსა N იუსი

საქართველოში პირველი ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა გერმანიის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი. იგი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს, ოპოზიციის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს და სტუდენტებს, მოინახულა საოკუპაციო ხაზი. „ჩვენ გვინდა ვნახოთ საქართველო ევროკავშირში, გვინდა ქართველებმა გაამდიდრონ ევროკავშირი. ჩვენ მხარს დაგიჭერთ ამ გზაზე. თქვენ გყავთ მეგობრები ბრიუსელსა და ბერლინში, ვისი იმედიც შეიძლება გქონდეთ“, - განაცხადა ანალენა ბერბოკმა.

* * *

ჩვენი ხელისუფლება აკეთებს მაქსიმუმს, რომ დღეს ქვეყანაში შენარჩუნებული იყოს მშვიდობა, სტაბილურობა და, რა თქმა უნდა, ჩვენ არ დავუშვებთ არავითარ დესტაბილიზაციას, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პარლამენტში, სადაც ინტერპელაციის წესით დეპუტატების შეკითხვებს უპასუხა. „დღეს ჩვენი ქვეყანა არის ყველაზე სწრაფად განვითარებადი ეკონომიკა. ჩვენ ბოლო ორი წელია გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. მთლიანი შიდა პროდუქტი, ჩვენი ეკონომიკა გავზარდეთ თითქმის 30 მილიარდი ლარით. ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით ეს გამოდის უკვე 8 000 დოლარი, წელს ასე იქნება ყოველ შემთხვევაში,“ - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო იმსახურებდა და დღესაც იმსახურებს კანდიდატის სტატუსს. სრული პასუხისმგებლობა სტატუსის ვერმიღებაზე და ჩვენს დაშორებაზე მეგობრებისგან, მოკავშირეებისგან და, შესაბამისად, რუსეთთან დაახლოებაზე გეკისრებათ თქვენ, გეკისრებათ „ქართული ოცნების“ „ხელისუფლებას“, - ასე მიმართა ოპოზიციონერმა დეპუტატმა მიხეილ დაუშვილმა პრემიერ-მინისტრს პარლამენტში ინტერპელაციის წესით გამოსვლისას. მისი თქმით, ცალსახად უნდა ითქვას, რომ „ამ ქვეყანაში მტერი არის რუსეთის ფედერაცია და მოყვარე არის ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეები, ჩვენი მეგობრები, ევროკავშირი, შეერთებული შტატები“.

* * *

ხატია დეკანოიძე პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსით გააგრძელებს საქმიანობას. როგორც მან განაცხადა, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა, ამის მიზეზად კი პარტიის მმართველ გუნდთან განსხვავებული პოზიციის ქონა დაასახელა. ხატია დეკანოიძე პოლიტიკიდან წასვლას არ აპირებს.

მოამზადა
ია შველიძემ

# წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველი საერთაშორისო გამოფენა – ბათუმში

ხატია იაშვილი 555 18 48 88

*გუშინ ბათუმის წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველი საერთაშორისო გამოფენა ოფიციალურად გაიხსნა და სამ დღეს გაგრძელდება. მასში საგანმანათლებლო დაწესებულებები, საგამომცემლო კომპანიები, მაღაზიები, ქართული კულტურისა და უცხო ენების ცენტრები მონაწილეობენ*



გამოფენა-გაყიდვაზე მომხმარებლებს წიგნებზე ფასდაკლებებს სთავაზობენ. სამი დღის განმავლობაში გაიმართება კონფერენციები, შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რომელშიც მწერლები მიიღებენ მონაწილეობას. გამოფენის მიზანი წიგნის პოპულარიზაცია, საგამომცემლო სექტორის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიმართულებით არსებული სიახლეების გაცნობაა. ამასთან, მსურველებს ინფორმაციას მიაწვდიან სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული სასწავლო პროგრამების შესახებ. წიგნისა და განათლების საერთაშორისო გამოფენა „ექსპო ბათუმის“ ორგანიზებით ტარდება.

- ეს არის ჩვენი პირველი გამოფენა და ძალიან მნიშვნელოვანი დღეა ჩვენთვის. გამოხმაურება და დაინტერესება მაღალია. ველოდებით სკოლებიდან ძალიან ბევრ ბავშვს. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი გამოხმაურება ჯერ არც ერთ გამოფენას არ ჰქონია. წარმომადგენელია როგორც გამომცემლობები, ისე უნივერსიტეტები. მაქსიმალურად ვცდილობთ, აბიტურიენტებსაც ხელი შევუწყოთ, რომ გაეცნონ ამა თუ იმ უნივერსიტეტის სიახლეებს, - გვითხრა საგამოფენო კომპანია „ჯეონეტ ექსპოს“ წარმომადგენელმა მაგდანელა პაქსაძემ.

იხ. მე-7 გვ.

# აჭარის მთავრობამ ტყის მდგრადი მართვის პროექტი დაიწყო

*აჭარის მთავრობამ გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან (**KFW**) თანამშრომლობით ტყის მდგრადი მართვის პროექტი დაიწყო*



აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან ზაზა შავაძესთან ერთად გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KFW), გერმანიის ჰესენის მიწის სატყეო სააგენტოს და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლებს შეხვდა. სამუშაო შეხვედრაზე აჭარაში ტყის მდგრადი მართვის პროექტის განხორციელების დეტალები განიხილეს.

ახალი პროექტი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა (BMZ) და KfW-ის მიერ ხორციელდება. იგი მიზნად ისახავს აჭარის სატყეო სააგენტოს მხარდაჭერას და ტყით მდგრადი სარგებლობის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას. პროექტის ბიუჯეტი 7,5 მლნ ევროს შეადგენს.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) ფინანსური მხარდაჭერით რეგიონში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებს. გერმანიის დელეგაციის მხრიდან გამოითქვა აჭარაში სამომავლო პროექტების მხარდაჭერისთვის მზაობა.

აჭარის მთავრობის პრესსამსახური

## ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო 120 წლისაა

2

## «ის ელექტორატი, რომელიც მხარს გვიჭერდა, დღესაც ჩვენთან რჩება»

3

ISSN 2720-8702


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:
577 20 43 55.

# ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო 120 წლისაა

## ექიმ აკაკი ბერიძის ვარსკვლავი გაიხსნა

**ფიქრია დავლაძე 579 25 25 72**

***ბათუმის მრავალპროფილური რესპუბლიკური საავადმყოფო 120 წლისაა. იუბილესთან დაკავშირებით დღის განმავლობაში არაერთი ღონისძიება ჩატარდა***

დაიგეგმა კონფერენცია, მოეწყო ფოტოგამოფენა, რომელზეც ღვაწლმოსილი მედპერსონალი იყო აღბეჭდილი. რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში გაიხსნა მონუმენტი და ვარსკვლავი, რომელიც ექიმ აკაკი ბერიძის წარმატებულ პროფესიულ საქმიანობას მიეძღვნა. აჭარის ჯანდაცვის მინისტრთან ერთად აქ იმყოფებოდნენ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ილია ღუდუშაური, აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები.

- იუბილესთან დაკავშირებით მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობს ღონისძიებები. ხედავთ, რომ გაიხსნა მონუმენტი, სადაც ამოტვიფრულია აქ მოღვაწე, აწ გარდაცვლილი სამედიცინო პერსონალის სახელ-გვარები. გაიხსნა ბატონი აკაკი ბერიძის ვარსკვლავი, რომელიც ღვაწლმოსილი ქირურგი გახლავთ. მინდა რესპუბლიკური საავადმყოფოს თითოეულ თანამშრომელს დღევანდელი დღე მივულოცო, ვუსურვო რაც შეიძლება მეტი მადლიერი და განკურნებული პაციენტი. მინდა აღვნიშნო, რომ ეს სა-



მედიცინო დაწესებულება რეგიონის სიმბოლოა. არ მეგულება ექიმი, რომელსაც შეხება არ ჰქონია რესპუბლიკურ საავადმყოფოსთან. ვფიქრობ, ყველა მედიკოსს, რომელიც სამუშაოდ გადავიდა კერძო კლინიკაში, გარკვეული მოლოდინი აქვს, რომ რაღაც პერიოდის შემდეგ დაუბრუნდება რესპუბლიკურ საავადმყოფოს, რომელიც იქნება მაღალტექნოლოგიური, მაღალკვალიფიციური სერვისის მომწოდებელი, რაშიც ძალიან გვეხმარება საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, - განაცხადა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ.

ქირურგ აკაკი ბერიძის თქმით, ვარსკვლავი, რომელიც მას გაუხსნეს, რესპუბლიკური საავადმყოფოს ყველა თანამშრომელს ეკუთვნის, რადგან მათი ჩართულობის გარეშე ამ სფეროში წარმატების მიღწევა შეუძლებელია.

- ვულოცავ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმებს, მთელ მედპერსონალს 120 წლის იუბილეს. ამ წლების განმავლობაში კლინიკაში მრავალი თაობა მოღვაწეობდა, ახლაც წარმატებით საქმიანობენ მოქმედი ექიმები. მრავალი ადამიანის სიცოცხლე გადაურჩენიათ, ამისათვის მადლობა მათ. სამედიცინო კოლექტივი ყოველთვის მხარში edga მოსახლეობას 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე. მიმაჩნია, რომ მედიცინა, განსაკუთრებით კი ქირურგია კოლექტიური საქმიანობაა. ამ სფეროში ერთი კაცი ვერაფერს შეძლებს, ამიტომ ეს ჯილდოები ერთი კაცის კი არა, მთელი სამედიცინო პერსონალის კუთვნილებაა, - თქვა აკაკი ბერიძემ.

შეგახსენებთ, რომ ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო პანდემიის პერიოდში როგორც კოვიდკლინიკა, ისე ფუნქციონირებდა. კოვიდის შემთხვევებისა და ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლის შემცირების ფონზე კი რეგიონის მკვიდრთ კლინიკამ სხვადასხვა სამედიცინო სერვისი შესთავაზა. ამ ეტაპზე რესპუბლიკური საავადმყოფო აღჭურვილია ყველა საჭირო სამედიცინო დანადგარითა და ტექნიკით.

# პროექტი – გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა (BMZ) და KFW-ის მხარდაჭერით

***აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის (KFW), გერმანიის ჰესენის მიწის სატყეო სააგენტოსა და ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) წარმომადგენლებს შეხვდა***

დავით გაბაიძემ სტუმრებს მადლობა გადაუხადა ჩვენი ქვეყნის, რეგიონის მხარდაჭერისათვის, მიმდინარე, ასევე განხორციელებული პროექტებისათვის და საკანონმდებლო კუთხით თანამშრომლობაზე მზაობა გამოთქვა.

შეხვედრაზე გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკთან (KFW) თანამშრომლობით აჭარაში ტყის მდგრადი მართვის პროექტის განხორციელების საკითხებზე ისაუბრეს. ახალი პროექტი, რომლის ბიუჯეტი 7,5 მილიონი ევროა, აჭარის სატყეო სააგენტოს მხარდაჭერასა და ტყით მდგრადი სარგებლობის თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას ისახავს მიზნად. პროექტი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა (BMZ) და KFW-ს მხარდაჭერით ხორციელდება.

შეხვედრას უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ფრიდონ ფუტკარაძე, აპარატის უფროსი ზურაბ ჭურკვეიძე, აჭარა-



ში ტყის მდგრადი მართვის პროექტის ეროვნული კოორდინატორი ვახტანგ წულაძე და WWF-ის კავკასიის პროგრამის ოფისის დირექტორი გიორგი სანადირაძე ესწრებოდნენ.

# დაღუპულ მებრძოლებს პატივი მიაგეს

ბათუმში საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული მებრძოლები გაიხსენეს. თარიღის აღსანიშნავად გმირთა სკვერში შეკრებილმა ხელისუფლებისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა დაღუპულ მებრძოლთა მემორიალი გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს. როგორც ცნობილია, 1921 წლის მარტში, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თურქეთის საჯარისო ნაწილებმა ბათუმის ოლქი დაიკავეს. ქართველმა გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა თურქეთის საჯარისო ნაწილების მიერ დაკავებული ბათუმი გაათავისუფლა. მარტის ბრძოლებში ქალაქის დასაცავად საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან მოხალისეები და მეომრები იბრძოდნენ. ქალაქის დამცველთა ბრძოლა ბათუმის ქუ-



ჩებსა და სტრატეგიულ შენობებთან სამი დღე გაგრძელდა და გამარჯვებით დასრულდა. დაიღუპა 84 ადამიანი. მათი ნაწილი 23 მარტს ბათუმში პატივით დაკრძალეს დღევანდელ გმირთა სკვერში. ამ თარიღს ბათუმელები საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ აღნიშნავენ და საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლებს პატივს მიაგებენ.

**აჭარის მთავრობის პრესსამსახური**

# ბათუმს დიდი ფეხბურთი ეწვია

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

***ორ დღეს საქართველო დიდი ფეხბურთით იცხოვრებს, რომლის ეპიცენტრი ჩვენი ქალაქი გახდება***

დღეს, 25 მარტს, საქართველოს ნაკრები ამხანაგურ მატჩს მონღოლეთის ნაკრებთან გამართავს, 28-ში კი ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი ტურის შეხვედრაში ნორვეგიის ნაკრებს დაუპირისპირდება. ორივე შეხვედრა ბათუმში გაიმართება, ბილეთები დიდი ხანია



მთლიანად გაყიდულია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბათუმში ფეხბურთის დიდ ზეიმს ელოდებიან.

ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვილი სანიოლმ ორივე მატჩში მონაწილე ფეხბურთელები რამდენიმე კვირით ადრე დაასახელა.

ჩვენი ნაკრები მონღოლეთის გუნდს ისტორიაში პირველად ხვდება, ნორვეგიასთან კი მეოთხედ მოსინჯავს ძალას. აქამდე სამივე შეხვედრა ნორვეგიის სასარგებლოდ დასრულდა.

წარმატებას ვუსურვებთ საქართველოს ნაკრებს!

# „არა – ფემიციდს!“

**თამაზ მგზავრიძე 27 48 94**

ხელვაჩაურის რაიონულმა პროკურორმა გიორგი რამიშვილმა და ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის პროკურორმა რომან ბოლქვაძემ კამპანიის „არა - ფემიციდს!“ ფარგლებში ქედის მუნიციპალიტეტში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, განიხილეს ქალთა გენდერული ნიშნით მკვლელობების გამომწვევი მიზეზები და გენდერული სტერეოტიპები, ისაუბრეს ბარიერებზე, რომელსაც ქალები აწყდებიან, როდესაც ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან. პროკურორებმა, შეხვედრის მონაწილეებს, ფემიციდის, ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის და ოჯახში დანაშაულის წინააღმდეგ პროკურატურის მიერ განხორციელებული ღონისძიებების და არსებული გამოწვევების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია, უპასუხეს შეკითხვებს.

ფემიციდის წინააღმდეგ კამპანია ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და გაეროს ქალთა ორგანიზაცია **UN Women**-ის მხარდაჭერით ხორციელდება. მისი მიზანია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ფემიციდის დანაშაულების პრევენცია. შეხვედრას ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძე, მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე, ქედის ქალთა მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოსა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

როგორც რომან ბოლქვაძემ გვითხრა, ასეთივე სახის შეხვედრები უახლოეს დღეებში შუახევსა და ხულოშიც გაიმართება.

# კრებები დასრულდა, პრიორიტეტები ცნობილია

**თამაზ მგზავრიძე 27 48 94**

ქედის მუნიციპალიტეტში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, მოსახლეობასთან შეხვედრების კამპანია დასრულდა.

რიგ სოფლებში ამ ღონისძიებას ქედის მუნიციპალიტეტის მერი როლანდ ბერიძე, მერის მოადგილეები, საკრებულოს ხელმძღვანელები, ამავე ორგანოს მაჟორიტარი დეპუტატები ესწრებოდნენ.

მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად, თანხები განკარგეს სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მოწესრიგებაზე, შიდა სასოფლო გზების გაყვანასა და კეთილმოწყობაზე, გარე განათების მოწესრიგებაზე.

- კრებები დასრულდა, პრიორიტეტები ცნობილია. მიზნობრივი იყო მოსახლეობის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ თავად აირჩიეს საკუთარ სოფელში განსახორციელებელი პროექტები. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ბიუჯეტი წელს 750 000 ლარს შეადგენს, - თქვა როლანდ ბერიძემ.

# «ის ელექტორატი, რომელიც მხარს გვიჭერდა, დღესაც ჩვენთან რჩება»

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

***ჩვენი სტუმარია შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე თენგიზ ივანაძე***

- შუახევის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების ხელმძღვანელთა ვალია მიზნობრივად ავითვისოთ ის პროგრამები და პრიორიტეტები, რომლისთვისაც 19,3 მილიონი ლარია გათვალისწინებული ადგილობრივ ბიუჯეტში. მთის რეგიონის მუნიციპალიტეტის ისტორიაში ასეთი რაოდენობის თანხა პირველადაა მობილიზებული. დაბა შუახევის ცენტრის, სოფლების ცენტრების კეთილმოწყობა ბოლო წლებში დავიწყეთ და კარგი ეფექტიც მივიღეთ. მარტო ის რად ღირს, რომ დაბა შუახევის სასიცოცხლო არტერია - რუსთაველის ქუჩა მოწესრიგდა. აქ ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალი გადის. მის გაყოლებაზე ქვეითად მოსიარულეთა ბილიკის გაკეთებამ, სხვა სიკეთესთან ერთად, მძღოლებს საავარიო სიტუაციებიც მოუხსნა, სკოლის მოსწავლეებიც უსაფრთხოდ გადაადგილდებიან. წელსაც 300 ათასი ლარია მობილიზებული საყრდენი კედლების მოსაპირკეთებლად, სანიაღვრე არხებისა და სკვერების მოსაწყობად. ყავლი გაუვიდა შუახევის კულტურის სახლის შენობას, თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ აკმაყოფილებდა. ქვეყნის პრემიერის ინიციატივით, ურბანული განვითარების ფონდიდან მობილიზებული თანხებით შენობის რემონტი დავიწყეთ. პროექტის ავტორებმა თავის დროზე ვერ გათვალეს, რომ დარბაზში იატაკიც შესაცვლელი იყო, რამაც რიგი სამუშაოები გადაავადა. ახლა რემონტი ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს, რაც საფუძველს იძლევა, რომ წლის ბოლომდე ყველაფერი დასრულდება. კულტურის ცენტრის ერთ ფლიგელში მართლმადიდებლური სამლოცველო იყო. როგორც ამ მრწამსის მიმდევარი, წლების განმავლობაში მოსალოცად აქ მივდიოდი. შენობის რემონტის დაწყების შემდეგ, დაბა შუახევში მცხოვრებნი საღვთო დღესასწაულებზე მოსალოცად ან ხიჭაურის დასახლებაში მივდივართ, ან კიდევ გამონათლევში. არადა, დეკანოზ გიორგის (ფუტკარაძე) ხელდასმით, დაბა შუახევში მართლმადიდებელი მრევლი მატულობს, რაც კარგად გამოჩნდა ზეთისცხებისას, რომელიც სასპორტო სკოლის დარბაზში შედგა. სულ მალე სავიზიტო ბარათად იქცევა მართლმადიდებელი ტაძარი, რომლის ფასადის მოპირკეთება უკვე დასრულდა და ახლა ინტერიერის კეთილმოწყობა მიმდინარეობს. ტაძრის უკანა მხარეს საყრდენი კედელი ჩამოისხა, სკვერში სავალი ბილიკები კეთდება. მალე რაიონული ბიბლიოთეკის უსახურ შენობასაც დავშლით და მის ადგილზე სამსართულიანი თანამედროვე შენობა აიგება. თანხები ამისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში გვაქვს. ეს მშენებლობა გარდამავალი იქნება და მომავალ წელს დასრულდება. სახელოვნებო სკოლა და მოსწავლეახალგაზრდობის სახლი ახალ შენობა-



ში დაიწყებს 2023-2024 სასწავლო წელს.

**- ცხადია, ეს ყველაფერი ტურიზმის განვითარებაზეც დადებითად აისახება...**

- გეთანხმებით. ტურიზმი, მისგან დატოვებული შემოსავლები თითოეული შუახეველის ცხოვრების პირობებზე დადებითად თუ არ აისახა, ჩვენი მუშაობა სარგებელს ვერ მოიტანს. სიძველეები, ისტორიული და კულტურული ძეგლები, ღვთით ბოძებული ბუნებრივი სიმდიდრე კარგია, მაგრამ საავტომობილო გზა, საცალფეხო ბილიკი, დასახლების ცენტრი, მოსახლის პირად საკუთრებაში არსებული შენობები, სასტუმროები, კვების ობიექტები თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი თუ არ იქნება, ტურისტი ზურგს შეგვაქცევს და შემოსავლებზე ფიქრიც ზედმეტი იქნება. 700 ათასი ლარია მობილიზებული ოთოლთას ციხის რესტავრაცია-კონსერვაციის სამუშაოებზე. ისიც მალე ჭვანის ხეობის სავიზიტო ბარათად იქცევა. ფურტიოს, ცხემლისის, ტბეთის, წელათის, ლაკლაკეთის, წყაროთის, ცინარეთის, ოლადაურის, ინწკირვეთის, ჯაბნიძეების ცენტრების კეთილმოწყობაზე მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა. წელს გაგრძელდება სამოლეთის (უჩამბის), კვირიაულის, წაბლანის, ნიგაზეულის, ხიჭაურის დასახლების, დარჩიძეების ცენტრების კეთილმოწყობა. ამის თანხები ადგილობრივ ბიუჯეტში ასახულია და კონკურსებიც მალე გამოცხადდება. შარშან მთა ჩირუხში კულტურული და სპორტული ღონისძიებების გასამართი ცენტრი მოეწყო. წელს ანალოგიური ცენტრი მოეწყობა თაგინაურზე. თაგინური, ჯვარიმინდორი აჭარა-გურიის ქედზე არსებული ტერიტორიებია, ცნობილია, რომ ქვეყნის მთავრობა, გურიის რეგიონის სამხარეო ადმინისტრაცია და ოზურგეთის თვითმმართველობა დაბა გომის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობენ. ჩვენც ადგილობრივი ბიუჯეტიდან მობილიზებული ერთ მილიონამდე ლარით თაგინურზე დენი გავიყვანეთ. დაწყებულია ჯვარიმინდორისა და მთლიანად, ჭვანის ხეობის ტურისტული პოტენციალის ათვისება. აჭარის მთავრობა ხაბელაშვილები-ჯვარიმინდორის საავტომობილო გზის შეკეთებასა და ამ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგებასაც გვპირდება. შარშან მთა ღომაზე სტადიონისა და ღია ცის ქვეშ არსებული სანახაობითი ცენტრის მშენებლობა წამოვიწყეთ. კონკურსში გამარჯვებული ფირმის ხელმძღვანელობა სამუშაოებს წელს დაასრულებს.

**- მარტის ბოლო დღეებში, «სოფლის მხარდაჭერის პროგრამის» ფარგლებში მობილიზებული თანხების მიზნობრივად განკარგვის თაობაზე, დასახლებებში კრებები ჩატარდა...**

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან შუახევის მუნიციპალიტეტში ამ პროგრამისთვის 628 ათასი ლარია მობილიზებული. ამ პროგრამამ 54 სოფელი და დასახლებული უბანი მოიცვა და იგი მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად გადანაწილდა. 10-მდე სოფელში გამართულ კრებას მეც ვესწრებოდი. მოსახლეობამ, სურვილისამებრ შეარჩია პროექტები. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები მარტო პროექტების რეგისტრაციით არ შემოვიფარგლეთ. სოფელ სამოლეთში საუბარი გვქონდა წარსულში დაშვებულ შეცდომებზე, მათი გამოსწორების გზებზე. აქ 200 ათასი ლარია მობილიზებული ცენტრის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. ბუთურაულში მეწყრული პროცესების განვითარებასა და ამ ეტაპზე საჭირო პრევენციულ ღონისძიებებზეც იყო საუბარი.

**- მეწყერი სხვა სოფელსაც რომ უტევს?**

- წინასწარი პროგნოზით, 150-ზე მეტი ოჯახი ადგილმონაცვლეობას საჭიროებს. ბუთურაულის მსგავსად, მეწყერი საფრთხეს უქმნის ნიგაზეულის, ჯაბნიძეების, ცინარეთის, ტაკიძეების, წყაროთის, ზემოხევის, ტბეთის, ჩანჩხალოს მოსახლეობას. თოვლი ჯერ კიდევ არ დამდნარა. თოვლი რომ გაქრა, სოფელ ცინარეთში საფრთხე მერე შენიშნეს. წაყრუება, უმოქმედობა ამ საქმეში, დანაშაულის ტოლფასია.

**- წინა მოწვევის საკრებულოში ფრაქციას ხელმძღვანელობდით, ახლაც უმრავლესობის ლიდერი ხართ. ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე, შუახევის წარმომადგენლობით ორგანოში რა მდგომარეობაა?**

- აქ მუშაობის ნორმალური პირობებია. საკრებულოს ორი წევრი «ხალხის ძალის» რიგებში გადავიდა, მაგრამ უმრავლესობას ისევ ვინარჩუნებთ. საკრებულოში მოსვლის დღიდან, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების დიდერიც ვიყავი. ახალგაზრდობას ჩვენი სჯერა, მხარს გვიჭერს. მათი უკეთესი მერმისისათვის ბევრიც კეთდება, მუნიციპალიტეტში დამატებითი სამუშაო ადგილები ჩნდება. სკოლებში, სკოლამდელ დაწესებულებებში, აღმასრულებელ და წარმომადგენლობით, წესრიგის დამცველ, თუნდაც, კერძო სტრუქტურებში, კვალიფიციური ახალგაზრდები დასაქმდნენ. რაკი სიტყვამ მოიტანა, ვიტყვი, რომ საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებმა თანდათანობით ჩაანაცვლეს ის ადამიანები, რომლებმაც ასაკის თუ სხვა მიზეზების გამო დატოვეს სამსახურები. ჩვენი რეკომენდაციითაც დასაქმდა რამდენიმე ახალგაზრდა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ ახალგაზრდა ოჯახებს, კერძოდ კი იმათ, სადაც 18 წლამდე ასაკის 5 და მეტი ბავშვი იზრდება. ამის დასტურია თუნდაც სკოლამდელი დაწესებულებების ქსელის ზრდა. წელსაც, სოფელ ნენიაში, საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყება და გაისად დამთავრდება. მშენებლობის პროცესშია მახალაკიძეების ბაღი, დასრულდა დღვანის ბაღის მშენებლობა.

**- თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნები რომ დაინიშნოს, რა პროგნოზს გააკეთებდით?**

- ოპოზიცია, თუნდაც არასამთავრობო ორგანიზაციები ჩვენი და ამომრჩევლების ურთიერთობებით თუ დაინტერესდნენ, დაინახავენ, რომ მათი ინტერესების შესაბამისად ვმუშაობთ. ისინიც ამაგს არ გვიკარგავენ. ადამიანმა საკუთარ თავზე გაჭირვება თუ არ გამოსცადა, სხვის გასაჭირს ნაკლებად გაიზიარებს. დედაჩემს ორი მცირეწლოვანი შვილი დავრჩით, მამა ავტოავარიამ შეიწირა. გაჭირვებამ, თანაც ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში გამოვლილმა, ბევრი რამ მასწავლა. განა მარტო მე? თვითმმართველობის ორგანოებში მომუშავენი ვცდილობთ, ადამიანებს გვერდით დავუდგეთ. ჯერ ერთი, რიგგარეშე არჩევნების თემა ამოწურულია, რომც იყოს, ის ელექტორატი, რომელიც მხარს გვიჭერდა, დღესაც ჩვენთან რჩება. მათი რიცხვი მატულობს.

**- ბოლო დროს საკრებულოს კომისიების მუშაობა უფრო ორგანიზებული და მიზანმიმართული გახდა...**

- პროექტს, რომელიც საკრებულოს სხდომაზე მერიის სამსახურის ინიციატივით ან საკრებულოს წევრის ინიცირებით განიხილება, სიღრმისეულად ვეცნობით. სხდომებს საკრებულოს თავმჯდომარეც ესწრება. ოპოზიციის წარმომადგენლები, თანაც სამი პარტიიდან, ჩვენთან არიან. ისინი თითიდან გამოწოვილი არგუმენტებით გვედავებიან, მაგრამ მათ ამომწურავ პასუხებს ვაძლევთ. ეს საკრებულოს სხდომაზე ზედმეტ გაუგებრობას, თუნდაც დაპირისპირებას გამორიცხავს.

***„აჭარის მთავრობა ხაბელაშვილები-ჯვარიმინდორის საავტომობილო გზის შეკეთებასა და ამ მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგებასაც გვპირდება. შარშან მთა ღომაზე სტადიონისა და ღია ცის ქვეშ არსებული სანახაობითი ცენტრის მშენებლობა წამოვიწყეთ. კონკურსში გამარჯვებული ფირმის ხელმძღვანელობა სამუშაოებს წელს დაასრულებს***

## უცხოეთი

ფინეთის პრეზიდენტმა საული ნიინისტომ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ქვეყანას ნატოში გაწევრიანების საშუალებას აძლევს. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე ფინეთის განაცხადის რატიფიცირება ალიანსის წევრი 30 ქვეყნიდან 28-მ განახორციელა. ფინეთის გაწევრიანება მას შემდეგ გახდება შესაძლებელი, რაც რატიფიცირებას უნგრეთი და თურქეთიც დაასრულებენ. უნგრეთი ფინეთის განაცხადის რატიფიცირებას მომავალ კვირას გეგმავს, ხოლო თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა რამდენიმე დღის წინ განაცხადა, რომ პარლამენტი რატიფიცირების პროცესს დაიწყებს და ფინეთის განაცხადს მხარს 14 მაისის არჩევნებამდე დაუჭერენ.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ ლოიდ ოსტინის განცხადებით, ჩინეთის ლიდერ სი ძინპინის მოსკოვში ვიზიტი, სადაც ის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს შეხვდა და ხელი მოაწერა რამდენიმე დოკუმენტს, აგზავნის „შემაშფოთებელ სიგნალს“, რომ ჩინეთი მზად არის რუსეთის მხარდასაჭერად. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, ამჟამად არ არსებობს მტკიცებულება, რომ ჩინეთი რუსეთს ლეტალურ დახმარებას უწევს, სი ძინპინის მოსკოვში ვიზიტი და მისი შეხვედრა რუს დიქტატორ პუტინთან „იქცა მხარდაჭერის დემონსტრირებად“, რაც, თავისთავად, „ძალიან შემაშფოთებელია“.

* * *

უნგრეთი რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს ქვეყანაში შესვლის შემთხვევაში არ დააპატიმრებს, - განაცხადა უნგრეთის პრემიერ-მინისტრის აპარატის ხელმძღვანელმა გერგეი გუიაშმა. „ჩვენ შეგვიძლია მივმართოთ უნგრეთის კანონს და ამის საფუძველზე ვერ დავაპატიმრებთ რუსეთის პრეზიდენტს, რადგან რომის სტატუტი უნგრეთში არ არის გამოქვეყნებული“, - აღნიშნა მან და დასძინა, რომ უნგრეთის მთავრობას არ აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია პუტინის დაკავების ორდერთან დაკავშირებით. ცნობისთვის: რომის სტატუტის მიხედვით, სასამართლოს განსჯად დანაშაულებში შედის გენოციდი, ომის დანაშაული, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და აგრესიის დანაშაული.

* * *

საფრანგეთში, საპენსიო რეფორმის გამო, მასშტაბური საპროტესტო აქციები გრძელდება. საფრანგეთის ქუჩებში მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა. მათ მაღაზიების ვიტრინები ჩაამსხვრიეს და თავდასხმა მოაწყვეს „მაკდონალდსის“ რესტორანზე. პოლიციამ დედაქალაქში დემონსტრანტების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა და მთელი ქვეყნის მასშტაბით 80 ადამიანი დააკავა. მანამდე ქვეყნის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა განაცხადა, რომ „ბრბოს არ აქვს ლეგიტიმაცია იმ ხალხის მიმართ, ვინც საკუთარ აზრს არჩეული წარმომადგენლების მეშვეობით გამოხატავს“. საფრანგეთში საპროტესტო აქციების ტალღა გამოიწვია კანონმდებლობამ, რომელიც საპენსიო ასაკის 62-დან 64 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს და რომლის მიღებაც მთავრობამ ეროვნულ ასამბლეაში კენჭისყრის გარეშე გადაწყვიტა.

მოამზადა
ია შველიძე

# „სისუსტე კი არა სიძლიერეა, როცა კრიტიკას მიიღებ და შენიშვნებს შეასრულებ“

მე, როგორც პოლიტიკოსი, ვიტყვი, რომ ეს არ არის სისუსტე, ეს არის სიძლიერე, როდესაც მიიღებ კრიტიკას და შეასრულებ ამ კრიტიკულ შენიშვნებს. იყო კრიტიკა უცხოური აგენტების კანონპროექტზე და კარგია, რომ მოხდა გაწვევა, ეს არის ჩემთვის ერთადერთი მართებული გზა, - განაცხადა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენ ბერბოკმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ილია დარჩიაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე. მისი თქმით, საზოგადოების ეს კრიტიკა ხაზს უსვამს იმას, რამდენად სურს მოსახლეობას ევროკავშირში გაწევრიანება.



„უდიდესი პატივი უნდა ვცეთ ამ გადაწყვეტილებას, ეს არის კრიტიკა საკუთარი საზოგადოებიდან, ასევე გარკვეული მითითებები - გარედან. ეს არ არის სისუსტე, ეს არის გაძლიერების ხელშეწყობა ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე. ვფიქრობ, ეს ყველაფერი უსვამს ხაზს, რამდენად დიდია საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირში შესვლის სურვილი“, - განაცხადა ბერბოკმა.

„მინდა, ხაზი გავუსვა, რომ საქართველომ განიცადა უდიდესი პროგრესი გასული წლების განმავლობაში. რა მდგომარეობაშია საქართველო?! რუსული სამხედრო ქვედანაყოფები იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე. სწორედ იმისთვის მივდივარ ადმინისტრაციულ საზღვართან, რომ დავრწმუნდე ამაში. ჩვენ ძალიან დიდი პატივისცემით ვაკვირდებით საქართველოს მთავრობის ნაბიჯებს გასული წლების განმავლობაში და, ასევე, მკაფიო პოზიციას საქართველოს ხელისუფლებისა რუსული აგრესიული ომის მიმართ“, - განაცხადა ბერბოკმა.

ამირან გურიელიძე

# «გამოცდილება და სპეციალისტების მოსაზრებები თანხვედრაში უნდა იყოს, რომ სიახლეებს მწვანე შუქი ავუნთოთ»

**ჩვენი სტუმარია შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ზამლეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ივერი კაკალაძე.**



- უკვე რამდენიმე წელია ოთხი სოფლის ხელმძღვანელად ვმუშაობ. გაივლის გარკვეული დრო და მეც მექნება სათქმელად, რომ ამ წლებში ნიგაზეულში სასმელი წყალი გამოვიყვანეთ, ფურტიო-ბუთურაული და ნენია 29 კილომეტრიდან გამოყვანილი სასმელი და სარწყავი ლითონის მილებით დაიქსელა. ფურტიოში, ბუთურაულში საბავშვო ბაღები გაიხსნა, თანამედროვე სტანდარტების შესაფერისმა სკოლის შენობამ ხარაჩოები ჩამოიხსნა, ნენიაში სპორტული მოედანი მოეწყო, სკოლას საყრდენი კედელი გაუკეთდა, ადმინისტრაციული ერთეულის ყველა სოფელში მოასფალტებული გზები შევიდა, მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა ფურტიოს, ბუთურაულის ცენტრების კეთილმოწყობისთვის. სოფელ ნენიის შესასვლელთან ტურისტული ობიექტი გაკეთდა...

**- ეს წასულია. ახლა რის გაკეთებას აპირებთ?**

- თითქმის 8 კილომეტრზეა გაწფენილი სოფელი ნიგაზეული. მიჯნურისერიდან ღორთავაკემდე ტერიტორიას, კაკალაძეების, წიახის, ზამლეთის, აგარაქეთის, ქვემოვრების უბნებს რომ ხელმძღვანელი სჭირდება, ეს დროულად გაითვალისწინეს და ახლა ნიგაზეულსაც სათავეში ერთი ადამიანი უდგას. ხიმშიაშვილების სამკვიდრო, აქ შემონახული ისტორიული ციხე, მეცენატ თეიმურაზ კომახიძის და მოქმედ პარლამენტარ ანზორ ბოლქვაძის ხელდასმით მოწყობილი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის სელიმ ხიმშიაშვილის საფლავი რესტავრაცია-კონსერვაციას ითხოვს. თანამედროვე სტანდარტებს ვეღარ პასუხობს სოფელ ნიგაზეულის ცენტრი. მოსახლეობის მოთხოვნაა და თანაც ობიექტური, რომ ნიგაზეული და ჩანჩხალო ერთმანეთს მოკლე საავტომობილო გზით დაუკავშირდეს. სოფელ ინწკირვეთის ტერიტორიიდან გამოყვანილი სასმელი წყალი ზაფხულის გვალვიან დღეებში იკლებს და დამატებითი წყაროს წყლებით შევსებას საჭიროებს. საკმაო თანხაა მობილიზებული სოფელ ნენიაში ბაღის შენობის ასაგებად. მალე კონკურსში გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება და სამუშაოებსაც დავიწყებთ. იმასაც ვიტყვი, რომ რამდენიმე წელია აქ ალტერნატიული ბაღი მოქმედებს და კონტინგენტიც საკმაოა. უკვე დღის წესრიგში დადგა სოფელ ბუთურაულში ახალი სკოლის მშენებლობა. საგანმანათლებლო კერის ახლანდელი ნაგებობა მოძველებული არაა, მაგრამ მისი არქიტექტურა, საკლასო ოთახების განლაგება, პრიმიტიული დახურული სპორტული დარბაზი თანამედროვე მოთხოვნებს ვეღარ პასუხობს, თანაც სკოლა იმ ტერიტორიაზეა, სადაც მეწყრული პროცესები ვითარდება.

**- ეს უკვე გახმაურებული თემაა. რა პრევენციული ღონისძიებები ტარდება ადამიანების მსხვერპლის თავიდან ასაცილებლად?**

- გეთანხმებით, ბუთურაულში, ნიგაზეულში, ნაწილობრივ ნენიასა და ფურტიოში განვითარებული მეწყრული პროცესების შესახებ ყველამ იცის და ყველას ყურადღებას, თანადგომას ითხოვს. ბუთურაულში ეს პროცესი რამდენიმე წლის წინ დაიწყო. ოჯახების ერთი ნაწილი მეწყერსაშიში ტერიტორიებიდან გავიყვანეთ. 10 წლის წინ, მათ შუახევის ცენტრში, ყოფილი რაიონული საავადმყოფოს შენობაში, ოჯახის წევრების რაოდენობის შესაბამისად, სიმბოლურ ფასად, საცხოვრებელი ბინები გადავეცით. დაზარალებული, სტიქიის ზონაში მოქცეული ოჯახების ერთმა ნაწილმა საკომპენსაციო თანხა - 25 ათასი ლარი მიიღო. გაგიგიათ, ალბათ, მთის ჩიტი მთას შეაკვდაო. ადამიანები მამისეული კერის გავერანებას, წინაპრების საძვალეების მიტოვებას ვერ ეგუებიან. იმ წლებიდან მოყოლებული, გაზაფხული დადგება თუ არა, ხვნა-თესვას, სხვა სამუშაოებს აგრძელებენ და ვერც გავამტყუნებთ. მათი და კიდევ 10-ზე მეტი ოჯახი მართლაც რომ რეალური საფრთხის წინაშეა. გულსატკენია, რომ დაზარალებულ ოჯახებს ისეთი «პატრონები» გამოუჩნდნენ, რომლებიც თბილისში თუ ბათუმში ცხოვრობენ და ბუთურაული ახლა გაახსენდათ. პროვოკაციებიც მოაწყვეს, მოსახლეობას მოუწოდეს, ადგილზე დარჩნენ; გეოლოგიური სამსახურების დასკვნებს არ ენდონ. შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ბუთურაულელთა მაჟორიტარი ამ ორგანოში გიორგი კეკელიძე, მუნიციპალიტეტის სხვა ხელმძღვანელები და მეც რამდენჯერმე შევხვდით დაზარალებულ ოჯახებს, არგუმენტირებული წინადადებებით სხვა ტერიტორიებზე გადაყვანა შევთავაზეთ. ახლა გეოლოგიური სამსახურების ახალი დასკვნის მოლოდინში ვართ და მის საფუძველზე ვიმოქმედებთ. ჩვენ ადამიანების ბედი გვაინტერესებს, ბუთურაულელებს ჩვენზე დიდი თანამდგომი და მხარდამჭერი არ ეყოლებათ.

**- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გმირი იაგო მიქელაძეც ამ სოფლის მკვიდრია, მისი საძვალეც აქ არის...**

- იაგო მიქელაძის ოჯახიც საფრთხის ქვეშაა. ეს ტერიტორია ყოველწლიურად დაბლა იწევს. სოფელი ბუთურაული საუკუნეებს ითვლის, ამის დასტურია ეკლესიის ნანგრევები და დღემდე შემონახული ჯვარდასმული საფლავი, რომელიც არქეოლოგების მოსაზრებით, მე-7, მე-8 საუკუნეებით თარიღდება. სოფელში ერთ დროს ტბაც ყოფილა, რომლის ნაწილი ახლაცაა შემორჩენილი. სიფრთხილე და სიფხიზლე ყველას გვმართებს. ბუნება როდის რას მოიმოქმედებს, არავინ იცის, ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში, აჭარის მთიანეთში ბუნებრივმა კატასტროფებმა იმატა.

**- მოსახლეობამ საგაზაფხულო სამუშაოები თუ დაიწყო?**

- ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის ოთხივე სოფელში ზაფხულის გვალვიანი დღეები ერთწლიან ნათესებს, მრავალწლიან კულტურებს, მოსავალს ანადგურებს. აქაური ფერმერები ზვრებში, ხეხილის ბაღებში, სათეს-სახნავ ფართობებზე მუშაობას თებერვლის ბოლოდან იწყებდნენ. წელს ეს კამპანია ცოტა დაგვიანდა უხვი ნალექების გამო. რიგ ტერიტორიებზე კარტოფილი და სიმინდი მაინც დათესეს. ოთხივე სოფელში ბოლო დროს ვაზის მოვლა-პატრონობას მეტ ყურადღებას უთმობენ. ნენიაში მარნების მოწყობაზეც თადარიგი დაიჭირეს. ზურაბ, მერაბ ქამადაძეებს, შოთა მიქელაძეს მიმდევრები გამოუჩნდნენ. ნიგაზეულელმა ნუგზარ ხიმშიაშვილმა 2500 კვადრატულ მეტრზე ვაზი ჩაყარა. კარგი მოვლის წყალობით, ხვავრიელ მოსავალსაც იღებს. ახლა სასტუმროსა და მარნის მშენებლობა წამოიწყო. უცხოელი და ადგილობრივი ვიზიტიორი ნიგაზეულის ციხეს, სელიმ ხიმშიაშვილის მუზეუმს რომ მოინახულებს, მარანსა და სასტუმროშიც შეივლის. ვაზთან ერთად, რამდენიმე ფერმერმა თხილის მოშენებასაც მიჰყო ხელი.

**- ბუთურაულში მოცვის საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთიც იყო...**

- საუბედუროდ, საცდელად დარჩა, მაგრამ საჩვენებლად არ გამოდგა. ახლა ზოგიერთები თავში ხელს ირტყამენ ამ წამოწყებისთვის. ყველა მცენარე თავისებურ ნიადაგს ითხოვს. ბუთურაულში იმ ტერიტორიზე ვაზი კარგ მოსავალს იძლეოდა, თამბაქოც კარგად ხარობდა, მაგრამ მოცვისთვის შესაფერისი ნიადაგი არ აღმოჩნდა. წარსული გამოცდილება და კვალიფიციური სპეციალისტების მოსაზრებები თანხვედრაში უნდა იყოს, რომ სიახლეებს მწვანე შუქი ავუნთოთ.

**- ნენიის შესასვლელში გაკეთებულ ტურისტულ ობიექტს პატრონი როდის ეღირსება?**

- ეს ობიექტი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის სიახლოვეს, მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზეა. აქვეა სამკურნალო წყალი. ღირსეული მეპატრონის ხელში ტერიტორია ტურისტების მოზიდვის ცენტრად იქცევა, მაგრამ რამდენიმე მცდელობის, ფასების დაკლების მიუხედავად, მყიდველი არ გამოჩნდა. ფურტიოს ისტორიული თაღოვანი ხიდის ახლოს, ასევე მდინარე აჭარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ბიზნესმენ ამირან ბერიძის ხელდასმით კვების ობიექტი, აჭარის ყოფისთვის მახასიათებელი შენობები დაიდგა. ჩვენი და ყველას ვალია ეს ობიექტები ავამოქმედოთ. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო მაგისტრალის ხულო-ზარზმის 47-კილომეტრიანი საავტომობილო გზის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის სამუშაოები მომავალ წელს უნდა დასრულდეს, ზამლეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზეც ტურისტული, სწრაფი კვების ობიექტები უნდა მომრავლდეს, რადგან სხალთის ხეობაში ისტორიული ხიხანის ციხის მონახულების მსურველი ტურისტი ზამთელის ტერიტორიაზე გაივლის.

**- სხალთის ეპარქიის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევითა და ინიციატივით, ელვაურზე, თურქეთის საქართველოში შემონახული ოთხთას ეკლესიის ანალოგიური ტაძრის მშენებლობა იგეგმება. ეს წამოწყება რა ეტაპზეა?**

- ელვაურის უბანში ოთხთას ანალოგი ტაძარი სხალთის ხეობის სავიზიტო ბარათი გახდება. ყოფილი კოლმეურნეობის კლუბ-კანტორის შენობა წლევანდელმა უხვთოვლიანმა ზამთარმა დაანგრია და მისი დაშლა, ნარჩენების გადატანა საფრთხეს აღარ წარმოადგენს. ტაძარი აქ აშენდება. იმედია, მალე ელვაური, სხალთა და კალოთა მართლმადიდებელი მრევლის მოსალოც ცენტრებად იქცევა. ჩვენ ტოლერანტები ვართ. ზამლეთის ცენტრში მედრესე გვაქვს, სოფლებში ჯამეები მოქმედებს, მათ ელვაურის მართლმადიდებლური ტაძარიც შეერწყმება. ვისაც სად მოესურვება, იქ ილოცებს.

**- წლების წინ, შუახევის მუნიციპალიტეტში ზამლეთ-სხალთის 4-კილომეტრიან გზაზე ასფალტის საფარი დაიგო. ახლა ამ მონაკვეთზე სახარბიელო მდგომარეობა არაა.**

- ხიჭაური-ჭვანის, ყალებოინი-კვირიაულის შემდეგ, ზამლეთი-სხალთის გზაზეც დაიგო ასფალტი. იმ დროს ეს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ გზებზე სიახლე იყო. ამ ეტაპზე ეს მონაკვეთი რეკონსტრუქციას საჭიროებს. ბევრგან ასფალტი აყრილია, დასამატებელია სანიაღვრე არხები. იგივე ითქმის სოფელ ფურტიოში მისასვლელ გზაზეც...

**- ფურტიოს რაგბის სტადიონზე რას გვეტყვით?**

- თქვენი გაზეთი ერთი წლის წინ სპორტის ამ ობიექტის კეთილმოწყობაზე, ფურტიოში საქართველოს რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელობის ჩამოსვლასა და მათ დაპირებაზე წერდა. მას შემდეგ, რიგი სამუშაოები წამოიწყეს... იმედია, მალე არა მარტო შუახევში, არამედ აჭარის მთიანეთში რაგბის უნიკალური სტადიონი და შესაბამისი ინფრასტრუქტურა გვექნება, პარლამენტარ დავით კაჭარავას იმედზე ვართ.

**- ბოლო დროს ნიგაზეულელთა გამგებლობაში არსებული პირუტყვის საზაფხულო საძოვრებიც არ გრჩებათ უყურადღებოდ.**

- უკვე დაწყებულია ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს საავტომობილო გზაზე ბეტონის საფარის დაგება. ნიგაზეულელებს მალე საშუალება ექნებათ, ჯანჯღნარის, საომიას პირუტყვის საზაფხულო საძოვრებზე კეთილმოწყობილი საავტომობილო გზით გადაადგილდნენ. ამ მთებში მიკროჰესიც მოქმედებს. ნიგაზეულელებს იმედი აქვთ, რომ მალე მთა ზოტიყელიდან ელექტროგადამცემი ხაზებით დენს მიიღებენ, აქვე გეტყვით, რომ მთა თეთრობის ელექტრიფიცირებაც დადგა დღის წესრიგში. აქ ზაფხულს ფურტიოელი, ბუთურაულელი და ნენიელი მეცხოველეები ატარებენ.

> *იაგო მიქელაძის ოჯახიც საფრთხის ქვეშაა. ეს ტერიტორია ყოველწლიურად დაბლა იწევს. სოფელი ბუთურაული საუკუნეებს ითვლის, ამის დასტურია ეკლესიის ნანგრევები და დღემდე შემონახული ჯვარდასმული საფლავი, რომელიც არქეოლოგების მოსაზრებით, მე-7, მე-8 საუკუნეებით თარიღდება. სოფელში ერთ დროს ტბაც ყოფილა, რომლის ნაწილი ახლაცაა შემორჩენილი. სიფრთხილე და სიფხიზლე ყველას გვმართებს. ბუნება როდის რას მოიმოქმედებს, არავინ იცის*

# ლიტერატურის მოყვარულთა კლუბის მუშაობა შეაჯამეს

შუახევის მუნიციპალიტეტის მერიაში „მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთა მუნიციპალური კლუბის“ ერთწლიანი მუშაობა შეაჯამეს. კლუბი შუახევის რესურსცენტრის ინიციატივითა და მერიის ფინანსური მხარდაჭერით, შარშან შეიქმნა. მისი მიზანია: მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლება; მხატვრული ლიტერატურით მოსწავლეთა დაინტერესება; ლიტერატურის ისტორიისა და განვითარების გაცნობა; ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან წვდომა; ლიტერატურული ხერხების გამოცნობა და გამოყენება.

კლუბი ორ ასაკობრივ - საბაზო და საშუალო კატეგორიად იყოფოდა, რომელშიც სხვადასხვა სკოლის 68 მოსწავლეა ჩართული.

კლუბის წევრები, სამი ფასილიტატორი მასწავლებლის - მზია გოგაძის, ლია ქამადაძისა და მალვინა ზოიძის ხელმძღვანელობით, სხვადასხვა სახის აქტივობებს ატარებდნენ,



ათეულობით ავტორის მხატვრული ლიტერატურა წაიკითხეს და გააანალიზეს, ხვდებოდნენ ავტორებს, ირგებდნენ პერსონაჟების როლს, მართავდნენ დებატებს, განიხილავდნენ ფილმებს.

კლუბის ერთწლიანი მუშაობის პერიოდი უაღრესად ნაყოფიერი და შედეგიანი აღმოჩნდა, მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

შემაჯამებელ წარდგინებას შუახევის რესურსცენტრის უფროსი ედუარდ გოგრაჭაძე უძღვებოდა. წარდგინების მონაწილეებსა და კლუბის წევრებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ომარ ტაკიძე, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების შუახევის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნატარიძე, პუბლიცისტი ოთარ ცინარიძე, შუახევის თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელები და მათ მხარდაჭერას შეჰპირდნენ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, შემეცნებითი პროექტების განხორციელებაში.

დასასრულ, კლუბის წევრები სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ, ფასილიტატორ მასწავლებლებს კი მადლობის ბარათები გადაეცათ.

**გვერდი მოამზადა**
**ოთარ ცინარიძემ**

# „თვითკმაყოფილებას არ უნდა განვიცდიდეთ, ეს არის განვითარების უპირველესი საწინდარი“

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*სოფიო პაპუნაიშვილი ქობულეთში დაიბადა, უმაღლესი განათლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. უცხო ენების ფაკულტეტი (ფრანგული ენა და ლიტერატურა), შემდეგ კი ბათუმის უმაღლესი საფინანსო სკოლა სამართალმცოდნეობის განხრით, წარჩინებით დაამთავრა. ფრანგულ, ინგლისურ, თურქულ და რუსულ ენებს პროფესიონალურად ფლობს, იტალიური, ესპანური, თურქმენული, აზერბაიჯანული ენები კი კარგად ესმის. კომპიუტერულ ტექნოლოგიებში USAID-ის გრანტიც მოიპოვა და წლების განმავლობაში ინტერნეტ-ცენტრს ხელმძღვანელობდა. ამ ცოდნას თავი მოუყარა და ბათუმში ბიზნესის მართვის აკადემია დააფუძნა. 2006 წლიდან სოფიო ტურიზმის დეპარტამენტის ფრანგულ და რუსულენოვანი გიდიცაა. უყვარს მუსიკა, ფორტეპიანოზე დაკვრა, ხელსაქმეც. როცა თავისუფალი დრო აქვს - ქსოვს. სოფიოს შესრულებული აქვს ფრანგული პოეზიის მხატვრული თარგმანებიც. ამ მრავალმხრივ ნიჭიერ ქალბატონს ამ ინტერვიუთი უკეთ გაიცნობთ.*

**- სოფიო, როგორი ბავშვი იყავით?**

- სასწაულად ცელქი. დღესაც კი, როცა ვიღაც ბავშვი იცელქებს, ჩემს ახლობლებს მაგალითად მოვყავარ - სადაც სოფიკო დაჭკვიანდა, ამ ბავშვს აღარ მოჰკითხოთ არაფერიო (იცინის). იმდენად ცელქი ვიყავი, ჩემს მშობლებს სხვისი ოჯახებისთვის სხვადასხვა ნივთის ყიდვა თუ ფანჯრის მინების ჩასმა უწევდათ. თუმცა, მაინც ძალიან ბედნიერი ბავშვობა მქონდა და ის ენერგია დღემდე მომყვება. ალბათ, სიყვარულითაც ვიყავი განებივრებული და ეს ძალიან მალაღებდა.

**- რა გაინტერესებდათ ყველაზე მეტად?**

- მშობლები ექიმობას მაძალებდნენ, მაგრამ ამ სფეროსადმი ინტერესი არ მქონია. სკოლის პერიოდში სამართალმცოდნეობამ მიმიზიდა. ვემზადებოდი კიდეც ამ განხრით. მაშინ მძიმე პერიოდი იყო, 90-იანი წლები, ომი... თბილისში სასწავლებლად ვერ გამიშვეს და ბათუმში დავრჩი. ფრანგული ენა კარგად ვიცოდი და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში უცხო ენების ფაკულტეტზე ჩავაბარე, თუმცა სამართალმცოდნეობის შესწავლის სურვილი მაინც დამრჩა და ამ მხრივაც მივიღე განათლება.

**- როდის აღმოაჩინეთ, რომ უცხო ენების ათვისების უნარი გქონდათ?**

- სკოლაში ფრანგულს კარგად ვსწავლობდი, მასწავლებელი განსხვავებულ პროგრამას მაძლევდა. მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობდი, რომელიც ძალიან მიყვარდა. ახლა ინტერნეტში ყველაფერს იპოვი, მაშინ სულ სხვა სამყაროში ვცხოვრობდით. მახსოვს, როცა უნივერსიტეტში ჩემმა ლექტორმა „კასეტა“ მოგვცა, სახლში რომ მოვიტანე და გადავწერე, ის ჩემთვის უბედნიერესი დღე იყო (იცინის). გადავახვევდი, გადმოვახვევდი და ისე ვსწავლობდი. უნივერსიტეტში, მეორე ენად, გადავწყვიტე, ინგლისური ამერჩია, რადგან ამის გარეშე უკვე ვეღარ „გადავრჩებოდით“. ამასთან, ფრანგულთან მონათესავე ენები უკვე ისედაც მესმოდა. უნივერსიტეტში ლათინურიც ვისწავლეთ, რამაც ძალიან გამიადვილა სწავლა. გრამატიკა, მით უმეტეს, ფრანგულთან შედარებით, ძალიან ადვილი იყო. ასევე ვისწავლე ესპერანტო, რომელიც საერთაშორისო ენა უნდა ყოფილიყო, თუმცა ვერ დამკვიდრდა, რადგან ინგლისურმა თავისი როლი ითამაშა. მიუხედავად ამისა, დღესაც არიან ესპერანტისტები მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება თურქულს, ჩვენთან ეს ენა თავისით წამოვიდა, გაჩნდა თურქული საქმეები, ბიზნესები... საკონსულოში უფასო კურსები გამოცხადდა, რომელიც ბოლომდე გავიარე, შემდეგ სხვა კურსებიც დავამთავრე, თურქულ კომპანიებშიც ვმუშაობდი და იქ ძალიან გამომადგა. მესმის აზერბაიჯანული, თურქმენული და უზბეკურიც. ეს ენები ერთმანეთს ძალიან ჰგავს და ევროპული ენების შემდეგ, ძალიან გამიადვილდა მათი შესწავლა. ასევე გატაცებული ვიყავი მხატვრული ლიტერატურის და პოეზიის თარგმნით - ფრანგულიდან ქართულად ვთარგმნიდი. დღესაც ძალიან მინდა ვთარგმნო, მაგრამ ამისთვის ვერ მივიცალე. ალბათ, როგორც იტყვიან, „შემოდგომის წლებში“ ამ საქმესაც დავუბრუნდები. სხვათა შორის, სტუდენტობის პერიოდში, გაზეთ „აჭარაშიც“ იბეჭდებოდა ჩემი თარგმანები.

**- ამჟამად რას საქმიანობთ?**

- ბუღალტერიით ვარ დაკავებული, ენები კი უკვე ჰობად მექცა, თუმცა, ფრანგულ და რუსულენოვანი ოფიციალურად რეგისტრირებული გიდი ვარ ტურიზმის დეპარტამენტში. გაგიკვირდებათ და, ისევ ფრანგულმა ენამ დამაწყებინა ბუღალტერია. როცა თარჯიმანი ვიყავი ერთ-ერთ ქართულ-ფრანგულ საქმეში, თარგმანის დროს ვხვდებოდი, რომ რაღაცას ზეპირად, გაუაზრებლად ვთარგმნიდი. ეს იყო ფინანსური ტერმინები, ამიტომ გადავწყვიტე, გამევლო ბუღალტერიის საწყისი კურსი, რომ გამერკვია, რას ნიშნავდა. მომეწონა. გავიარე მეორე კურსი, მესამე და... უცხო ენების მცოდნე ბუღალტერზე დღეს საკმაოდ დიდი მოთხოვნაა და ცოდნა საქმესაც დავუკავშირე. იმდენად ბევრი დრო და შრომა ჩავდე ამაში, რომ დღეს სხვა სფეროში ოქროს კოშკებიც რომ შემომთავაზონ, ვერ შეველევი. მინდა ამ სფეროში ჩემი სიტყვა ვთქვა, რაღაც განსხვავებული გავაკეთო.

**- ბათუმში ბიზნესის მართვის აკადემია დააფუძნეთ, რომელიც საბუღალტრო კურსებსაც მოიცავს. რამდენი ხანია, რაც კურსებს უძღვებით?**

- ოფიციალურად, შპს 2018 წლიდან დავარეგისტრირე, მანამდე, როგორც მიწვეული მასწავლებელი, სხვადასხვა კერძო სასწავლებელში ვმუშაობდი, 1998 წლიდან უცხო ენებში ვამზადებდი ბავშვებს, შემდეგ - კომპიუტერულ ტექნოლოგიებშიც. როცა ცოტა ხნით მივატოვე ეს საქმე, მივხვდი, რომ ძალიან მომენატრა აუდიტორია, ბავშვებთან ურთიერთობა... დღეს ვერ წარმომიდგენია მათ გარეშე, ისეთი ლაღი და გონებაგახსნილი ბავშვები არიან. მათთან მუშაობისას ენერგია მემატება, სურვილი მიჩნდება, რაღაც ახალი ვაკეთო, ჩემი ცოდნის განახლების სტიმული მეძლევა.

**- უცხო ენებსა და ბუღალტერიაში რა საერთოს ნახულობთ?**

- ბალანსის შედგენის პროცესი ძალიან მაგონებს თარგმნის პროცესს. ბალანსში ფინანსურ ტოლობას ვიცავთ, თარგმანში - აზრობრივ-შინაარსობრივს. ორიგინალი ენა პასივს მაგონებს თავისი ვალდებულებებითა და კაპიტალით, რომელიც აქტივების, ანუ თარგმნილი ენის წყაროდ გვევლინება, ხოლო თარგმნილი ენა - აქტივს, ანუ შედეგს აკუმულირებული ვალდებულებებისა და კაპიტალდაბანდებებისა. აქტივი=პასივი ეს იგივეა, რაც ნათარგმნი ენა - ორიგინალის ენისა. დაბალანსების დროს ისევე ბედნიერი ვარ, როგორც თარგმანის დასრულებისას. ახლა ერთი, სრულიად განსხვავებული ენით ვარ დაინტერესებული და, ალბათ, ამასაც შევისწავლი. რომელი ენაა, საიდუმლოდ დავიტოვებ.

**- რა არის პრიორიტეტული თქვენს საქმიანობაში?**

- ბუღალტერია, პოსტკომუნისტური შეგნებით რომ იყო - ერთ კურსს დაამთავრებდნენ და ბუღალტერი ერქვათ, ასე ნამდვილად აღარ არის და ეს ტერმინი უკვე შესაცვლელიცაა. დღეს ბუღალტერი სულ სხვა ცნებაა. ბუღატერია მოიცავს და აერთიანებს კომპიუტერულ, ციფრულ უნარებს. ტექნიკის ცოდნის გარეშე დღეს ვერც ერთი ბუღალტერი ვერ „გადარჩება“. ეს უკვე სხვა ეპოქაა, დღეს ძალიან ბევრი დოკუმენტიც კი ამოვარდა ხმარებიდან. პრიორიტეტულია, იცოდე სამართალი, კოდექსები... ასევე, უნდა იყო შრომისმოყვარე და თვითგანვითარებაზე ორიენტირებული. სხვანაირად წარმოუდგენელია. ბუღალტერიაში ყოველთვის არის სამსახური, თუკი ძლიერი ხარ, მით უმეტეს, დღეს, როცა სახელმწიფო გადასახადების და მცირე და საშუალო ბიზნესის ხარჯზე დგას ფეხზე. ხომ გაგიგიათ გამოთქმა „ყოველი წარმატებული ბიზნესის უკან ძლიერი ბუღალტერია“ - ეს უტყუარია. სწორედ ბუღალტერი დაღუპავს და გადაარჩენს კომპანიას, ასეც შეიძლება ითქვას (იცინის).

**- რა არის თქვენთვის წარმატების ფორმულა?**

- ბევრი შრომა. თვითკმაყოფილებას არ უნდა განვიცდიდეთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება ერთ დღეს იყო საკუთარი თავით კმაყოფილი, მაგრამ მეორე დღეს ეს გრძნობა არ უნდა დაგრჩეს. ეს არის განვითარების უპირველესი საწინდარი. თუ კმაყოფილი ვართ საკუთარი თავით (ეს ხომ ქართველების სენია), ვერასდროს წავალთ წინ. დედას რატომ უყვარს შვილი? იმიტომ რომ ამაგი აქვს მასზე, გარდა იმისა, რომ თავისი სისხლი და ხორცია, მისი გაზრდილია. საკუთარი შვილივით უნდა გავზარდოთ ჩვენი საქმე, პროფესია.

**- სამი შვილის დედა ხართ, როგორ უთავსებთ ამდენ საქმეს და ოჯახს ერთმანეთს?**

- ჩემი დილა იწყება ძალიან ადრე. თუ სადილის მომზადება წინა საღამოს ვერ მოვასწარი, დილით უნდა გავაკეთო. შემდეგ, როგორც ყოველთვის, ბავშვებს სკოლისთვის ვამზადებ. უფროსი გოგონა ამ მხრივ ძალიან მეხმარება. შემდეგ ტელეფონები იწყებს რეკვას, ზოგ ზარს ვპასუხობ, ზოგს სხვაგან ვამისამართებ, პარალელურად, სადილს ვამზადებ, თან ლეპტოპშიც მიგზავნიან რაღაც საქმეებს და ამასაც ვაკეთებ. რამდენიმე კომპანიაში დისტანციურად, როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ბუღალტერიას ვაკეთებ. ერთ-ორგან მისვლაც მიწევს ხოლმე, გავრბივარ და გამოვრბივარ, ასე იმიტომ ვამბობ, რომ ნელი ნაბიჯით ვერ დავდივარ, სულ სირბილი მიწევს (იცინის), საღამოს მეცადინეობები მეწყება, კურსების შემდეგ რაღაც საქმეები ისევ მოიყრის თავს, ამათაც დავასრულებ და... შეიძლება გვიან ღამემდე ვერ მივიდე სახლში.

**- ხელოვნებაც გიტაცებთ...**

- ხელოვნება ბავშვობიდან მიტაცებდა. აპლიკაციები, ხატვა, ამოჭრა-დაწებება. მახსოვს, დედა რვეულებს რომ მიყიდდა, თუ არ გამაფრთხილებდა, რომ საჭირო იყო, სულ დაჭრილი და დახატული ხვდებოდა. ჩემი პირველი წიგნი იყო „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. ყველა დავალება გავაკეთე ფერადი ქაღალდებით და ვიყავი უზომოდ ბედნიერი. ისიც მახსოვს, ბებიამ პატარაობაში საკერავი მანქანა რომ მაჩუქა, ჩემთვის უძვირფასესი ნივთი, ფეხის ძველებური მანქანა „ზინგერი“, დღემდე შენახული მაქვს. რაც კი ქსოვილი მქონდა, მაშინ ყველა გამოვიყენე. სულ ვკერავდი, როგორც იტყვიან, ჩემს ჭიას ვახარებდი. ძალიან მსიამოვნებს, ჩემს შეკერილ მაშინდელ კაბებს რომ აღმოვაჩენ ხოლმე. ვქსოვ, ვქარგავ კიდეც... მართალია, დრო ნაკლებად მაქვს ამისთვის, მაგრამ ხანდახან მაინც ვიცლი. საქსოვი მექანიკური დაზგაც შევიძინე და უფრო სწრაფად ვქსოვ ხან ჩემთვის, ხანაც - ბავშვებისთვის.

**- მუსიკალური განათლებაც გაქვთ?**

- დიახ, ქობულეთის მეორე მუსიკალური სკოლის შვიდწლედი დავამთავრე. თუმცა ის მკაცრი დისციპლინა საშინლად არ მომწონდა. დედაჩემის დაძალებით ვსწავლობდი, ყოველთვის მაკონტროლებდა, რომ გაკვეთილები არ გამეცდინა. მაინც ვახერხებდი ამას, როდესაც რამეს მაძალებდნენ, ძალიან არ მიყვარდა (იცინის). როცა სწავლა დავასრულე და აღარავინ მაძალებდა, ნოტები მოვძებნე, სხვადასხვა სიმღერის აწყობა დავიწყე და ეს პროცესი ძალიან მომეწონა. დღემდე, ინტერნეტში ძალიან ბევრ მასალას ვნახულობ და ნებისმიერ სიმღერას ვუკრავ, ვმღერი კიდეც, თუმცა მხოლოდ შინაურ გარემოში. საქმის კეთების დროს, სულ ვღიღინებ, სიმღერა საქმეს მიმარტივებს.

**- რა გეგმები გაქვთ?**

- მინდა სამეწარმეო საქმიანობა გავაგრძელო, დოქტორანტურაზეც ვფიქრობ. ტურიზმი ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სფეროა და ამ მხრივაც ვგეგმავ ბიზნესს. დღეს პოსტსაბჭოთა სივრცე განსაკუთრებით დაინტერესებულია საქართველოთი და ჩემს კონტაქტებს გამოვიყენებ.



*„ბალანსის შედგენის პროცესი ძალიან მაგონებს თარგმნის პროცესს. ბალანსში ფინანსურ ტოლობას ვიცავთ, თარგმანში - აზრობრივ-შინაარსობრივს. ორიგინალი ენა პასივს მაგონებს თავისი ვალდებულებებითა და კაპიტალით, რომელიც აქტივების, ანუ თარგმნილი ენის წყაროდ გვევლინება, ხოლო თარგმნილი ენა - აქტივს, ანუ შედეგს აკუმულირებული ვალდებულებებისა და კაპიტალდაბანდებებისა*

# შედეგი – საწვავის ფასების შემცირება

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა პარლამენტში, სადაც მას ინტერპელაციის წესით უსმენდნენ, განაცხადა, რომ დაწყებულია აქტიური მოლაპარაკება საწვავის იმპორტიორებთან და შედეგი სახეზეა - საწვავის ფასები არის შემცირებული, ჩვენ ორ ლარს ჩამოსცდა უკვე არაბრენდირებულ ბენზინისათვის სადგურებზე ბენზინის ფასი.

„ეს კომუნიკაცია, დიალოგი გრძელდება საწვავის იმპორტიორებთან და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ კიდევ უფრო შევამციროთ საწვავი, მათ შორის, დიზელის ფასიც.

ჩვენ აქტიურად დავიწყეთ მუშაობა სურსათის პროდუქტების ფასების შემცირებაზე, უკვე გაიაფდა მას შემდეგ, რაც დავაანონსე მთავრობაში ჩვენი გეგმა, რომ ძალიან მალე პარლამენტს წარმოგიდგენთ ახალ კანონპროექტს, რომელიც დაარეგულირებს, მათ შორის, იმპორტიორსა და გამყიდველს შორის, საცალო ქსელებს შორის ურთიერთობას. დღეს უკვე 20-30%-ით არის შემცირებული ფასები სურსათზე, ძირითად პროდუქტებზე და ასევე, ჩვენი გათვლით, კიდევ უფრო დაიკლებს მომდევნო თვეებში, მას შემდეგ, რაც ამ კანონს მივიღებთ და ახალ რეგულაციებს შემოვიტანთ. მთლიანობაში გვაქვს კონკრეტული ხედვები დევნილების სახლების მშენებლობა იქნება, თუ გაუმჯობესებული სერვისები იქნება, ყველა მიმართულებით ჩვენ ვაჩვენებთ სერიოზულ პროგრესს“, - განაცხადა პრემიერმა.



ამირან გურიელიძე

# გამარჯვება – ბრძოლის შედეგი

***ექვსწლიანი სასამართლო დავა გამარჯვებით დაასრულა შუახევის კულტურის ცენტრის ყოფილმა დირექტორმა ვახტანგ ბერიძემ. პროფესიით რეჟისორი ამ დაწესებულებიდან გათავისუფლებამდე წარმატებულად ასრულებდა თავის მოვალეობას და იმდენად მრავალფეროვანი ღონისძიებებით გაამდიდრა შუახევის მუნიციპალიტეტი, რომ არაერთხელ გვითქვამს, უდავოდ, დაატყო თავისი ხელი ამ რეგიონის კულტურულ ცხოვრებას. ამიტომ, მართლაც, გასაკვირი იყო მისი გათავისუფლება კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობიდან***

*ამ ფაქტს ჩვენი გაზეთი იმთავითვე გამოეხმაურა, ვწერდით იმასაც, რომ ვახტანგ ბერიძე თავის გათავისუფლებას გაასაჩივრებდა და დღეს, როცა ცნობილი გახდა, რომ მან სასამართლო დავა მოიგო, ბუნებრივია, კვლავ მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას იმ მარტივ ჭეშმარიტებას, რომ ბრძოლას აზრი ყოველთვის აქვს.*

*ვახტანგ ბერიძეს ვთხოვეთ, გაეხსენებინა, რა მიზეზი დაედო საფუძვლად სამსახურიდან მის დათხოვნას.*



- გათავისუფლების ბრძანებაში ეწერა, რომ 2017 წლის 3 მაისს სამსახურში არ ვიმყოფებოდი, რაც ნაკისრი ვალდებულების უხეში დარღვევააო. სინამდვილეში 2017 წლის 3 მაისს, დილიდან 17:30 საათამდე სამუშაო ადგილზე ვიყავი, რაც დაადასტურეს თანამშრომლებმა. 2015 წლის სექტემბერში შუახევის საკრებულოს კულტურის ცენტრში გაწეული საქმიანობის, გატარებული ცვლილებებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარვუდგინე, რაც წარმატებულად შეფასდა. 2015 წლის დეკემბერში ერთ-ერთ დეპუტატს ნათესავის დაწინაურებაზე უარი ვუთხარი, რის გამოც 2016 წლის 29 იანვარს ანგარიშის წარდგენა ხელმეორედ მომთხოვეს. დიდი ხმაურისა და შეურაცხყოფის არაერთხელ მოყენების შემდეგ ჩემი ანგარიში არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს და რეგიონის გამგებელს თხოვეს რეაგირება. ამასთან დაკავშირებით გამგებელმა სატელევიზიო კომენტარში თქვა, რომ რეკომენდაციებს იმ შემთხვევაში გაითვალისწინებდა, სამართლიანი რომ ყოფილიყო და არა პირად ინტერესებზე დაფუძნებული. ეს იმას ნიშნავს, რომ გამგებელმა არასამართლიანად ჩათვალა საკრებულოს შეფასება და ახალი ხელშეკრულებაც დადო ჩემთან. 2017 წლის 4 მაისის გათავისუფლების ბრძანებაში კი წერია, რომ საკრებულოს 2016 წლის შეფასება გახდა ჩემი გათავისუფლების მიზეზი... ამ ყველაფრიდან ერთი დასკვნა შეიძლება გამოიტანოს გონიერმა მკითხველმა, როგორც გალა იტყოდა - შური, ბიძიკო, შური...

**- რა პერიპეტიები გაიარე სასამართლო დავის შენ სასარგებლოდ დამთავრებამდე?**

- თავდაპირველად, მინდა ვთქვა, რომ ამ პროცესმა ბევრი რამ მასწავლა, დამაფიქრა საკუთარ და სხვების შეცდომებზე, ქმედებებზე, ბრძოლისუნარიანობაზე. დავინახე ის, რომ ადამიანებს ყველაფრის კადრება შეუძლიათ, ეს ერთგვარი გაკვეთილი იყო ჩემთვის. საკუთარი თავის დაცვისას სხვისი უფლებები არ უნდა დაარღვიო. „საქართველოს კანონი კულტურის შესახებ" მე-9 მუხლის ჩანაწერის: „დაუშვებელია შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის ცენზურა, შემოქმედებით ნაწარმოებზე ყადაღის დადება და მისი გავრცელების აკრძალვა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ლახავს სხვა ადამიანის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, რელიგიურ და რასობრივ შუღლს, ქადაგებს ომსა და ძალადობას, პროპაგანდას უწევს პორნოგრაფიას" საფუძველზე გადავწყვიტე, რომ გამეპროტესტებინა 2017 წლის მაისში სამსახურიდან ჩემი უკანონოდ გათავისუფლების „ელიტური გადაწყვეტილება", ის, რომ ჩამომაშორეს საყვარელ საქმეს, გააჩერეს დასახული გეგმები და ამ ყველაფერთან ერთად არასანდო ადამიანიც მიწოდეს. ეს ძალიან შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის და ვთვლი, რომ ექვსწლიანი ბრძოლა ღირდა იმად, რომ საბოლოოდ გავმართლდი. ჯამში ხუთი სასამართლო პროცესი დასჭირდა ამას. ექვსი წელი გაგრძელდა ეს დამღლელი გზა, რაც ადვილი არ იყო, მაგრამ სიმართლის დასადგენად უნდა გამევლო, ასე ჩავთვალე საჭიროდ.

> ***მინდა ვთქვა, რომ ამ პროცესმა ბევრი რამ მასწავლა, დამაფიქრა საკუთარ და სხვების შეცდომებზე, ქმედებებზე, ბრძოლისუნარიანობაზე. დავინახე ის, რომ ადამიანებს ყველაფრის კადრება შეუძლიათ, ეს ერთგვარი გაკვეთილი იყო ჩემთვის. საკუთარი თავის დაცვისას სხვისი უფლებები არ უნდა დაარღვიო***

**- ელოდი თუ არა გამარჯვებას?**

- გავიმარჯვებდი თუ არა, ბრძოლის აუცილებლობის მჯეროდა, რა თქმა უნდა, იმედი მქონდა, პირველ რიგში, საკუთარი სიმართლე და ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" იურისტების ანა ბერძენიშვილის, ნინო სიორიძის და მარიამ შაინიძის მაღალი კვალიფიკაცია და ბრძოლისუნარიანობა მაგულიანებდა.

**- დავის მოგების შედეგად მიიღებთ თუ არა ფულად კომპენსაციას?**

- შუახევთან საქმიანი ურთიერთობები არ შემიწყვეტია. წარმატებით ვთანამშრომლობდი ბატონ ფრიდონ ფუტკარაძესთან და ამასვე ვაგრძელებ ამჟამინდელ მერ ომარ ტაკიძესთანაც. სასურველი იყო, რომ ამდენი არ ვენერვიულებინე მათ, ვინც სამსახურიდან უსამართლო ბრალდებებით დამითხოვა და თავადაც ამდენი არ ეწვალათ თავიანთი ნამოქმედარის „გასამართლებლად"... მაგრამ რას შევცვლით, „რაცა ღმერთსა არა სწადდეს"... კომპენსაციას რაც შეეხება, ეს ჩემთვის ღირსების ბრძოლა იყო და სიმბოლურად, ერთი ლარიც რომ ყოფილიყო, ჩემთვის მისაღები იქნებოდა, ამიტომაც სასამართლოზე არ დაგვიწყია ფულზე ვაჭრობა. სასამართლომ რაც დაადგინა, იმედს ვიტოვებ, რომ დროულად აღსრულდება.

ვახტანგ ბერიძე ამჟამად (3 წელზე მეტია) აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის დირექტორია, ამავე დროს განაგრძობს თავისივე დაფუძნებული ლიტერატურული ფესტივალის „ზე-კართან" ხელმძღვანელობას. დავის დროს მას ძველ სამსახურში თავის აღდგენა არ მოუთხოვია.

**მარინა მითაიშვილი**

# პროგრამები, რომლებიც ახალგაზრდების საჭიროებებზეა მორგებული

**დარინა ბაბაიძე 514 22 22 80**

***„ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი" 2019 წელს დაარსდა და აერთიანებს აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 14-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდებს, პროგრამები კი მორგებულია მათივე საჭიროებებზე. ცენტრის ნებისმიერ პროექტში მონაწილეობა სრულიად უფასოა. ამ და სხვა სიახლეებთან დაკავშირებით, საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში, „ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის" წარმომადგენლები კოლეჯ „ბლექსის" სტუდენტებს შეხვდნენ და წლის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებები და სიახლეები გააცნეს***

*აღსანიშნავია, რომ „ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი" მზად არის, ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს თუ ჯგუფს მიაწოდოს ინფორმაცია მიმდინარე პროექტების შესახებ. ასევე, გრძელდება საინფორმაციო შეხვედრები ქალაქ ბათუმის 1-ელ, მე-2, მე-8, მე-9, მე-11 საჯარო სკოლებში, მახინჯაურის საჯარო სკოლასა და კერძო სკოლებში - „ელიტური სკოლა გორდა" და „მომავლის სკოლა".*

*„ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის" პროექტებსა და სიახლეებზე გვესაუბრა მუნიციპალიტეტებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსი სპეციალისტი* ***ნინო ლომაია***.



**- ახალგაზრდული სფეროს განვითარების და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, რა პროექტებს ახორციელებთ და, ძირითადად, რა სტრატეგიული მიმართულებით?**

- ახალგაზრდული სფეროს განვითარების და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, წლის განმავლობაში ახალგაზრდებს 40-მდე პროექტს ვთავაზობთ, რომლებიც 8 სტრატეგიულ მიმართულებად იყოფა. ესენია: კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობის მხარდაჭერა, ლაშქრობა და ბანაკები, გართობა და შემეცნება, კარიერული განვითარების მხარდაჭერა, ინტელექტუალური თამაშები, მოხალისეობა, ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, კულტურა და ხელოვნება.

**- რომელია ცენტრის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი?**

- „ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის" ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ჩვენ მიერ განხორციელებულ პროექტებში აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობაა. აქედან გამომდინარე, 2023 წლის დასაწყისიდანვე დავიწყეთ სხვადასხვა საჯარო თუ კერძო სასწავლებლებში საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება. შეხვედრების ორგანიზებაში ჩართულნი არიან სკოლების თვითმმართველობები. დიალოგის და უკუკავშირის შედეგად ჩვენი ღონისძიებები და პროგრამები მეტად მორგებული და ხელმისაწვდომი იქნება ახალგაზრდებისთვის. პრეზენტაციები მიმდინარეობს დიალოგის რეჟიმში და მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა დასმულ კითხვას ამომწურავად ვუპასუხოთ. ასევე, ახალგაზრდებს დავეხმაროთ საიტზე რეგისტრაციასა და ღონისძიებებში ჩართვაში. როგორც უკვე აღვნიშნე, „ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი" წლის განმავლობაში 40-მდე ღონისძიებას გეგმავს და ახორციელებს, შესაბამისად, ღონისძიებები მიმდინარეობს მთელი წლის განმავლობაში. ცენტრის ვებპლატფორმაზე XRC.GE დაწყებულია აპლიკაციების მიღება რამდენიმე პროგრამაზე, რომელთა შორისაც არის „საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში მონაწილეობის მხარდაჭერა". პროგრამა გულისხმობს ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობას საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარების მიზნით და აძლევს მათ შესაძლებლობას, მოიპოვონ ავიაბილეთისა და საწევროს გადასახადის დაფინანსება.

**- მიმდინარე პროექტებიდან რომელს გამოყოფდით?**

- ერთ-ერთი მიმდინარე პროექტია „თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა", რომელიც გულისხმობს სხვადასხვა მიმართულებით ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებას გრანტის სახით, არა უმეტეს 3 000 ლარისა.

> ***დიალოგის და უკუკავშირის შედეგად ჩვენი ღონისძიებები და პროგრამები მეტად მორგებული და ხელმისაწვდომი იქნება ახალგაზრდებისთვის. პრეზენტაციები მიმდინარეობს დიალოგის რეჟიმში და მაქსიმალურად ვცდილობთ, ყველა დასმულ კითხვას ამომწურავად ვუპასუხოთ. ასევე, ახალგაზრდებს დავეხმაროთ საიტზე რეგისტრაციასა და ღონისძიებებში ჩართვაში***

**- ახალგაზრდების კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით გაქვთ პროექტები?**

- ცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების კარიერული განვითარების ხელშეწყობა, სწორედ ამ მიმართულებით ორი მიმდინარე პროექტი შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს პლატფორმაზე.

**- უახლოეს პერიოდში თქვენგან ახალგაზრდები რა სიახლეს უნდა ელოდონ?**

- უახლოეს მომავალში გამოცხადდება მიღება შემეცნებით ტურზე. აღნიშნული ღონისძიების მთავარი პრინციპია „ჯერ შენი ნახე", რომელიც გულისხმობს ქართული ისტორიულ-კულტურული და ხუროთმოძღვრული ძეგლების მონახულებას და ახალგაზრდებში ეროვნული ღირსშესანიშნაობებისადმი ინტერესის გაღვივებას. პირველი შემეცნებითი ტური ყაზბეგში გაიმართება.

**- როგორც ვიცი, ლიტერატურის მოყვარული ახალგაზრდებისთვისაც გაქვთ სიახლეები...**

- დიახ, ამ მიმართულებითაც გვაქვს სიახლეები და მალევე გამოცხადდება 14-დან 29 წლის ჩათვლით ახალგაზრდების მიღება პროექტში „ლიტერატურული ჰაბი", რომელიც ლიტერატურის მოყვარულ ახალგაზრდებს შესაძლებლობას მისცემს, წარმოაჩინონ საკუთარი თავი, განავითარონ წერის ტექნიკა და უნარები, დაესწრონ ლიტერატურულ მასტერკლასებს, ვებინარებსა და ტრენინგ-სემინარებს. ღონისძიება აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 90-მდე ახალგაზრდას გააერთიანებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თითოეულ ღონისძიებაში მონაწილეები შეირჩევიან კონკურსის გზით, თითოეული მუნიციპალიტეტიდან კვოტირების გათვალისწინებით. წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტებში გაიმართება შეხვედრები იქ მცხოვრებ ახალგაზრდებთან... ჩვენ მზად ვართ, უწყვეტ რეჟიმში მივაწოდოთ ახალგაზრდებს ინფორმაცია მათთვის საჭირო და მნიშვნელოვანი პროექტების შესახებ.

# მოფარიკავეების მსოფლიო თასი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*საქართველოს პარამოფარიკავე ქალთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა იტალიის ქალაქ პიზაში მსოფლიო თასზე*

ქართველმა სპორტსმენებმა ჯერ უნგრეთი დაამარცხეს ანგარიშით 45:40, შემდეგ ტაილანდი - 45:23, ფინალში კი პოლონეთის უძლიერეს გუნდს მოუგეს 45:30 და ოქროს მედლები მოიპოვეს.

მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში სამი სპორტსმენი გამოდიოდა - ირმა ხეცურიანი, ნინო თიბილაშვილი და გვანცა ზადიშვილი.



# ვეტერანები - დელფინარიუმში

*აჭარის ვეტერანთა სპორტის ფედერაცია, რომელსაც უკვე რამდენიმე წელია, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, შესანიშნავი ბათუმელი შალვა ტაბაღუა ხელმძღვანელობს, ბათუმის მერიისა და ბულგარის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, არაერთი საინტერესო ღონისძიების ინიციატორია*

ვეტერან სპორტსმენებს განსაკუთრებით ახარებთ ბათუმის დელფინარიუმისა და აკვარიუმის მონახულება. ამჯერადაც ისინი ოჯახის წევრებთან ერთად, უფასოდ, ჯერ შპს „შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელი ცენტრის" (დირექტორი - დავით ლეკვეიშვილი) აკვარიუმში იყვნენ, შემდეგ კი დელფინარიუმში დაესწრნენ ლამაზ შოუს, რომელიც რამდენიმე ენაზე მიჰყავს ბერდია კუტუბიძეს.

- დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ყველას, ვინც ასე გვიდგას გვერდით. ეს იყო კიდევ ერთი ლამაზი დღე, რომელიც ორგანიზატორებმა და მხარდამჭერებმა გვაჩუქეს, - გვითხრა ვეტერანმა თალიკო გაბეჩავამ.



# მონიტორინგი - მიუსაფარ ცხოველებზე

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

ბათუმის ცენტრალურ უბნებში მიუსაფარ ცხოველებზე მონიტორინგი მიმდინარეობს. წელს 524 ცხოველს უკვე ჩაუტარდა სტერილიზაცია-კასტრაცია-ვაქცინაცია, აგრეთვე 345 ლეკვ-კნუტს - რევაქცინაცია. სულ ქუჩიდან აყვანილ 869 ცხოველს მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული პროცედურა უკვე ჩაუტარდა, 41 ჯანმრთელი, უსახლკარო ძაღლი კი მზრუნველმა ოჯახებმა შეიფარეს.

მუნიციპალური ინსპექცია მონიტორინგს მერიის მიერ შპს „სევ-ერთან" გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებს, რაც წლის ბოლომდე უპატრონო ძაღლებისა და კატების, სულ 4600 ცხოველის - კვებას, სტერილიზაციას, კასტრაციას, ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია/რევაქცინაციასა და ცხოველთა დაბირკვას ითვალისწინებს.



# წიგნისა და უმაღლესი განათლების პირველი საერთაშორისო გამოფენა - ბათუმში

პირველი გვერდიდან

BATUMI BOOK & HIGHER EDUCATION 2023-ში მონაწილეობს 40-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია. ვიზიტიორებს კომპანიების სტენდებზე შეუძლიათ მიიღონ უახლესი ინფორმაციები. სულაკაურის გამომცემლობა ტრადიციისამებრ, ფასდაკლებებთან ერთად, ფესტივალზე არაერთი ახალი წიგნით წარსდგა - როგორც ქართული, ისე თარგმნილი და საბავშვო ლიტერატურიდან. გარდა ამისა, სტანდარტულ ფასდაკლებასთან ერთად, TBC-ის სტუდენტური და მოსწავლის ბარათების მფლობელები 30-პროცენტიანი ქეშბექითაც ისარგებლებენ. გამოფენის ფარგლებში, გამომცემლობის ორგანიზებით გაიმართება შეხვედრა მწერლებთან ანა კორძაია-სამადაშვილთან და ზურა ჯიშკარიანთან. გამოფენაში, ასევე, მონაწილეობს გამომცემლობა „წიგნები ბათუმში". მათ სტენდთან დაგხვდებათ ახალი დროის აპოკრიფები - „მცირე პროზა იესო ქრისტეს შესახებ". კრებულში თავმოყრილია ანატოლ ფრანსის, კარელ ჩაპეკის, ლოურენსის, ტურგენევის, ტოლსტოის, ჰენრიკ სენკევიჩის, სხვა დიდ მწერალთა მოთხრობები იესო ქრისტეს შესახებ.

გამოფენაში მონაწილეობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ადგილობრივი პროექტების კოორდინატორი გიორგი ბოლქვაძე წაიკითხავს პრეზენტაციას „მოხალისეობა და ახალგაზრდული საქმიანობა", ასევე თამაზ მჟავანაძე წარადგენს საკუთარ წიგნს „მადლიერება და სიყვარული".

„გამოფენა ძალიან მნიშვნელოვანია ახალბედა მწერლებისთვის, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც რეგიონში ვმოღვაწეობთ. ძალიან მაღალი დონის გამოფენაა. რაც შეეხება ჩემს წიგნს „მადლიერება და სიყვარული", დეტექტიური რომანების კრებულია. იგი გაფორმებულია კავკასიის ბიზნესსკოლის მოსწავლეების მიერ. გამოფენის ფარგლებში წარვდგები ვიზიტიორების წინაშე და უფრო ახლოს გავაცნობ ჩემს საქმიანობას", - გვითხრა თამაზ მჟავანაძემ.

გამოფენის ოფიციალურ გახსნას ესწრებოდა აჭარის მინისტრთა კაბინეტი. გამოფენა 26 მარტს საზეიმოდ დაიხურება.

გამოფენის მხარდამჭერები არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", თურქეთის განათლების სამინისტრო, ბათუმის მერია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, აჭარის სავაჭრო-სამრეწველო პალატა, საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაცია, თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია, საქართველოს ბიზნესასოციაცია, ბათუმის ავტოტრანსპორტი და სხვადასხვა მედიასაშუალება.

## უკრაინა

თუ ჩვენს თანამშრომლობაში არ იქნება შეფერხება ან სტაგნაცია, თუ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა მტკიცედ იქნება ორიენტირებული უკრაინის გამარჯვებაზე, გამარჯვებას წელსვე მოვიპოვებთ, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ ბრიუსელში მიმდინარე ევროპული საბჭოს სხდომაზე ონლაინფორმატში საუბრისას განაცხადა. „არავინ იცის დანამდვილებით, რამდენ ხანს გაგრძელდება ომი და რომელი ბრძოლები მოგვიტანს უფრო სწრაფ წარმატებას და რომელს მეტი ძალისხმევა დასჭირდება, მაგრამ ცხადია, რომ თუ ჩვენს თანამშრომლობაში არ იქნება შეფერხება ან სტაგნაცია, თუ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა მტკიცედ იქნება ორიენტირებული უკრაინის გამარჯვებაზე, გამარჯვებას წელსვე მოვიპოვებთ. დრო მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ თვეები და კვირები, არამედ დღეებიც. რაც უფრო სწრაფად ვიმოქმედებთ ერთად, მით მეტ სიცოცხლეს გადავარჩენთ", - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. მან დაასახელა ხუთი ძირითადი საფრთხე, რომელიც უკრაინასა და ევროპას კიდევ უფრო აშორებს მშვიდობის მიღწევასა და ომის დასრულებისგან. კერძოდ, მისი თქმით, ეს არის უკრაინის არმიისთვის შორ მანძილზე მოქმედი რაკეტებისა და თანამედროვე თვითმფრინავების მიწოდების შეფერხება, ახალი მკაცრი სანქციების პაკეტების მიღების შეფერხება, უკრაინის მშვიდობის ფორმულის განხორციელებისა და „მშვიდობის სამიტის" ორგანიზების შეფერხება და უკრაინის ევროკავშირში ინტეგრაციის შეფერხება.

* * *

რუსმა ოკუპანტებმა ხერსონის ოლქის ქალაქი ნოვა-კახოვკა დატოვეს. ინფორმაციას ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი ავრცელებს. შტაბის ინფორმაციით, ამას ოკუპანტების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის გაძარცვა უძღოდა წინ. ოკუპანტებმა სამოქალაქო მოსახლეობისგან დიდი რაოდენობით საყოფაცხოვრებო და ელექტრონული ტექნიკის, ძვირფასეულობების, ტანსაცმლისა და მობილური ტელეფონების „კონფისკაცია" მოახდინეს. ასევე, გენერალური შტაბის განცხადების თანახმად, ხერსონის ოლქის მარცხენა სანაპიროს დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამპყრობლებმა პროუკრაინული პოზიციების მქონე მოქალაქეების ძებნა დაიწყეს. ამისთვის ისინი დონბასში ანტიტერორისტულ ოპერაციაში მონაწილეების, სამხედრო პენსიონერების და უკრაინის სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გამოცდილების მქონე პირების სიებს იყენებენ. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ხერსონისა და ზაპოროჟიეს მიმართულებებზე მოწინააღმდეგე ახლა თავდაცვით ქმედებებს აწარმოებს.

* * *

ბახმუტის ირგვლივ რუსული ოპერაციების ტემპი ნელდება, მაგრამ რუსული ჯარები, სავარაუდოდ, ცდილობენ შეტევის დაწყებას სხვა მიმართულებით, განსაკუთრებით ავდიივკას მიდამოებში, - ამის შესახებ ამერიკული „ომის შემსწავლელი ინსტიტუტის" ანალიტიკოსები აცხადებენ. გენერალურმა შტაბმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ ბახმუტის რაიონში რუსული ჯარების შეტევითი პოტენციალი მცირდება. „რუსული ძალები ახლა ზრდიან შეტევითი ოპერაციების ტემპს ავდიივკას გარშემო დასახლებული პუნქტის ალყაში მოქცევის მიზნით. შესაძლებელია, რუსული ძალები ამას აკეთებენ ბახმუტის გარშემო ოპერაციებისა და უგლედარის გარშემო შეტევების შეჩერების ხარჯზე", - ნათქვამია „ომის შემსწავლელი ინსტიტუტის" ანგარიშში. ინსტიტუტის ანალიტიკოსების განმარტებით, 136-ე ცალკეული საგვარდიო მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებმა ადრე განაცხადეს, რომ უგლედარის რაიონში თავდასხმის ოპერაციებისთვის გადაჰყავდათ, თუმცა ერთ-ერთმა რუსმა სამხედრო ბლოგერმა განაცხადა, რომ 136-ე მოტომსროლელი ბრიგადის ქვედანაყოფები ავდიივკას მიმართულებით მოქმედებდნენ. „დისლოკაციის ეს აშკარა ცვლილება, სავარაუდოდ, იმაზე მიუთითებს, რომ რუსულმა ძალებმა უგლედარის წინააღმდეგ თავდასხმის განახლებასთან შედარებით პრიორიტეტი ავდიივკას გარშემო ოპერაციების გააქტიურებას მიანიჭეს", - აცხადებენ „ომის შემსწავლელი ინსტიტუტის" ანალიტიკოსები.

* * *

მსოფლიო ბანკის შეფასებით, რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის გამო, უკრაინას აღდგენისთვის მინიმუმ 411 მილიარდი აშშ დოლარი დასჭირდება, - ინფორმაციას Bloomberg-ი ავრცელებს. გამოცემის ცნობით, აღნიშნული მაჩვენებელი ბანკის, უკრაინის მთავრობის, ევროკომისიის და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთობლივი შეფასების შედეგად მიიღეს. აღსანიშნავია, რომ ეს თანხა 2,6-ჯერ აღემატება უკრაინის 2022 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობას. შეფასების თანახმად, რუსეთის შეჭრამ უკრაინაში 7,1 მილიონი ადამიანის გაღარიბება გამოიწვია და ქვეყნის განვითარების პროგრესი 15 წლით უკან დახია. „ეს გამაფრთხილებელი მაჩვენებელია, რომელიც გვიჩვენებს განადგურების მასშტაბებს და საერთაშორისო მხარდაჭერის მუდმივ საჭიროებას", - განაცხადა მსოფლიო ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ანა ბიერდემ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 24/03/23, 20 15 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „ყოველი ნაბიჯის ზღვარი და ფასი უნდა ვიცოდეთ“

ნაირა ფუტკარაძე 27 48 93

*ლეილა ლემსაძე წარმატებული პედაგოგი და საინტერესო, თავისთავადი პოეტია. გარდა ამისა, ის ერთ-ერთი იმათგანია, ვისაც წლის საპატიო ტიტული „პერსონა 2023“ მიენიჭა. ლეილა ლემსაძე ჩვენი გაზეთის სტუმარია.*

**- ქალბატონო ლეილა, ორი წლის წინათაც გვსტუმრობდით. რა სიახლეა თქვენს ცხოვრებაში, შემოქმედებაში?**

- მადლობა, რომ ისევ მხვდა წილად, ვყოფილიყავი თქვენი რესპონდენტი. დიახ, ჩემს ცხოვრებაში არის ბევრი სიახლე - კარგიც და ცუდიც. კარგი ის გახლავთ, რომ ვმონაწილეობ უამრავ შემოქმედებით ღონისძიებაში, დავჯილდოვდი „პერსონა 2023“ წლის ტიტულით, რაც ყველაზე მეტად სასიხარულო და საამაყოა. ახლა წიგნზე ვმუშაობ, რომელსაც მალე იხილავს მკითხველი. თუმცა ჩემი ძმის ტრაგიკულად დაღუპვამ ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ვცდილობ, ძალა მოვიკრიბო და მყარად დავდგე ფეხზე, რათა წიგნი მალე გამოვიდეს, რომლის სპონსორიც ჩემი უსაყვარლესი ძმა იყო (ვინც გამზარდა) და ეს წიგნიც მის ხსოვნას მიეძღვნება.

**- თქვენ, როგორც პედაგოგს, მოგენიჭათ „პერსონა 2023“ წლის ტიტული...**

- დიახ, სხვა წარმატებულ ბათუმელებთან ერთად, მეც წარმადგინეს ამ ჯილდოზე. მოგეხსენებათ, ლექსებს და ჩანახატებს ხშირად ფეისბუქის გვერდზე ვაქვეყნებ, სწორედ ჩემი ლექსებიდან გამომდინარე შემარჩიეს. ვარ ინკლუზიური განათლების სპეცპედაგოგი, თუ როგორი პოეტი ვარ, ეს მკითხველმა განსაჯოს.

**- ინკლუზიური განათლების სპეცპედაგოგი რა თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული?**

- სპეცპედაგოგი და ფილოლოგი ვარ. ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია, რაც ჩემს ლექსებშიც ჩანს. მიყვარს სიახლეები და... შევუდექი ინკლუზიური განათლების შესწავლას. გავიარე ტრენინგები... სხვა მასწავლებლებისგან განსხვავებით, სპეცმასწავლებელი



უნდა იყოს შრომისუნარიანი, პოზიტიური, მომთმენი, რომ მიაღწიოს სასურველ შედეგს. მყავს უსაყვარლესი მოსწავლე, რომელსაც სმენასთან დაკავშირებული პრობლემა აქვს. იმდენად საინტერესოა მასთან მუშაობა, იმდენად პოზიტივით ვივსები, სხვა სამუშაოს ვერც ვხედავ. ვცდილობ, შეძლებისდაგვარად მივაღწიოთ მიზნამდე, რომ მან შეძლოს საუბარი.

**- სხვა ქვეყნის ინკლუზიური განათლების პედაგოგებს თუ ხვდებით და მათ გამოცდილებას თუ ეცნობით?**

- სამწუხაროდ, არა. ამ ეტაპზე მხოლოდ ადგილობრივებთან შეხვედრით შემოვიფარგლებით. თბილისიდანაც ჩამოდიან ისინი, ვინც ინკლუზიური განათლება საქართველოში დანერგა. ვისარგებლებ შემთხვევით და ვიტყვი, რომ საზოგადოებას და მშობლებს ინკლუზიური განათლების შესახებ ძალიან მწირი ინფორმაცია აქვთ.

**- რა არის ის უმთავრესი, რომელსაც ცხოვრებაში მუდამ უნდა ვიცავდეთ?**

- ცხოვრება ერთი დიდი ციხესიმაგრეა, სადაც ან ხარ მთავარი მოქმედი გმირი, ან არა. მთავარია, თავი ისე დაიმკვიდრო საზოგადოებაში, რომ ყველასთვის იყო მისაღები, იცხოვრო სწორად და იყო ადამიანი. უნდა იცავდე ზღვარს საკუთარ თავთან, მეგობრობაში, სიყვარულში და საერთოდ, ყოველი ნაბიჯის ზღვარი და ფასი უნდა ვიცოდეთ.

**- პედაგოგი, პოეტი - უკეთ სად შეძელით საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა?**

- ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, სად ვიქნები, ყველაფერს თავისი პეწი აქვს, ყველაფერი ერთმანეთს ერწყმის და სიახლეებიც იბადება. სკოლაში მუშაობის პერიოდში ჩემი ლექსები საჯარო გავხადე. მოწონდათ და მახალისებდნენ, დღემდე მიდგანან გვერდში. შემდეგ პირველი საერთო კრებული გამოვეცი „ჩვენი ხმა“ - ეს დასაწყისია ჩემი შემოქმედების და სწორედ აქ მოხდა ჩემი პოეზიის აფეთქებაც.

**- რა არის თქვენს შემოქმედებაში ახალი?**

- შემოქმედებაში სულ რაღაც ახალი ხდება - შინაგანი წვა ან შინაგანი სიხალვათე. როგორც მოგახსენეთ, მეორე წიგნზე ვმუშაობ, ჩემი ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „ჭოროხში“. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობარ პაატა აბაშიძეს და ჟურნალ „ჭოროხის“' რედაქტორ სანდრო ბერიძეს, ვინც მარგუნა პატივი, ჩემი ლექსები ჟურნალში დაბეჭდილიყო.

**- თუ არ ვცდები, „მწიგნობართანაც“ ურთიერთობთ...**

- დიახ, დავდივარ ხშირად, როცა მიწვევენ ჟიურის წევრად. „მწიგნობარი“ ის გარემოა, სადაც სკოლის და სკოლამდელი აღსაზრდელები შემოქმედებას ეზიარებიან. აქ პატარა თეატრალური დასია, სადაც ბავშვები მსახიობობას, მხატვრულ კითხვას სწავლობენ. როცა ჟიურის წევრად მიწვევენ, მიხარია, რადგან მეძლევა საშუალება, ამ გარემოში ბავშვებს შევხვდე და ლიტერატურაზე ვესაუბრო.

**- თვისება, რომელიც ყველაზე მეტადაა თქვენში განვითარებული?**

- უანგაროდ შემიძლია გავცე სიკეთე და ადამიანებს, რომლებიც მიყვარს, შეცდომებს ადვილად ვპატიობ.

**- რაზე სწუხართ? რა გახარებთ? დღევანდელობას როგორ აღიქვამთ?**

- ცხოვრებაში კარგიც ხდება და ცუდიც... მომავალი თაობა მადარდებს, ქვეყანაში არსებული პრობლემები მაწუხებს, მინდა ჩვენმა შვილებმა მშვიდობიან სამშობლოში იცხოვრონ. სული მიმწარდება, ქუჩაში მშიერ, ხელგამოწვდილ ბავშვებს რომ ვხედავ. რა მახარებს? ყოველი გათენებული დილა, ყოველი ახალი სიცოცხლის დაბადება, მაბედნიერებს ყველას წინგადადგმული ნაბიჯი, წარმატება.

**- რა მატებს ადამიანს სულიერ ძალას და თქვენ პირადად?**

- ჩემი აზრით, უპირველესად, ღმერთი აძლიერებს ადამიანს, შემდეგ - საკუთარი თავის რწმენა და ხვალინდელი დღის იმედი. მე პირადად, უფლის სიყვარული მეხმარება. ყოველ წამს ვგრძნობ მის მოწყალებას, კიდევ, ჩემი შეუდარებელი მეგობრები მაძლიერებენ.

**- თქვენ და ოჯახი...**

- ოჯახზე უსასრულოდ შემიძლია საუბარი. იგი ჩემი სულის საუნჯეა, ჩემი საყუდარი, ჩემი სულის და გულის თავშესაფარი. იგი წმინდათაწმინდა საგანძურია ჩემთვის.

**- როცა მარტო რჩებით, რაზე ფიქრობთ?**

- ზოგადად, მიყვარს მარტოობა. არის კითხვები, რაზეც ვერ ვცემ პასუხებს... ჩემი სადარდელი და საფიქრალი ამ ეტაპზე ჩემი გარდაცვლილი ძმაა, რომელიც ტკივილამდე მენატრება, სულს მიწიოკებს მის გარეშე გათენებული დღეები.

**- თქვენ და ბათუმი...**

- იცით, როგორ საარაკო ადგილას ვცხოვრობ? ფანჯრიდან რომ გავიხედავ, ხელისგულივით ჩანს ჩემი ქათქათა და თბილი ბათუმი. თვალისმომჭრელია მისი სილმაზე. ბათუმიდან შორს რომ ვარ, ასე მგონია, წყურვილი მაწუხებს, შემოვალ ბათუმში და... თითქოს ლოდი აიღეს გულიდან, ისე ვმსუბუქდები.

*„მიყვარს ბათუმი გულღია და სულით მდიდარი,*
*მისი ქუჩების ოხშივარი აყუჩებს ტკივილს,*
*მიყვარს ბათუმზე მონათხრობი ასი ზღაპარი,*
*ვერსად ვერ ვნახე მე ქალაქი სხვაგან ამგვარი“.*



# შეხვედრა ევროპის ჩემპიონთან

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში გაიმართა შეხვედრა მოჭიდავე დიეგო ჩხიკვაძესთან, რომელმაც სულ ახლახან ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 23-წლამდელთა ასაკის სპორტსმენებს შორის*

ბუქარესტში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე დიეგომ ფინალურ შეხვედრაში თურქ მოჭიდავეს სძლია და ოქროს მედალი დაისაკუთრა. შეხვედრაზე იმყოფებოდნენ მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიჟარაძე, მისი მოადგილე ირაკლი აბულაძე, სპორტსმენის მწვრთნელი მინდია შაინიძე.

შეხვედრაზე სპორტსმენს მაღალი შედეგი მიულოცეს, სიმბოლური საჩუქარი გადასცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი მოჭიდავე ზედიზედ მეორედ დაეუფლა კონტინენტის ჩემპიონის ტიტულს.

- დიდი ხანი ვემზადებოდი ამ ჩემპიონატისთვის და კარგ შედეგსაც ველოდი. ახლა ეროვნულ ნაკრებთან ერთად მოვემზადები და სარეიტინგო საერთაშორისო ტურნირებზე ვიასპარეზებ. გაისად ოლიმპიური თამაშები იმართება და, რა თქმა უნდა, ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მოპოვების შანსიც მაქვს, თუმცა ძლიერი კონკურენტები მყავს ჯერ აქ - საქართველოში. ამ ბარიერის გადალახვა მომიწევს და ამისთვის ძალებს არ დავზოგავ, - გვითხრა დიეგო ჩხიკვაძემ.

- წარმატებულად გამოვიდნენ ჩვენი მოჭიდავეები ევროპის ჩემპიონატზე. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დიეგო ჩხიკვაძის გამარჯვება, ეს ჩვენი კუთხისთვის დიდი წარმატებაა. დიეგო ამისთვის ინტენსიურად ემზადებოდა. სერიოზული გეგმები გვაქვს და წარმატებისთვის ვიბრძოლებთ, - აღნიშნა აჭარის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მინდია შაინიძემ.



- დიეგო ჩხიკვაძემ ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა ჩვენი რეგიონისთვის, ერისთვის. სპორტი ხომ ის ფენომენია, რომელიც უცებ აცნობს მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყანას, განამტკიცებს საერთაშორისო ავტორიტეტს, - თქვა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ.

# წარმატებული ხელბურთელები

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*ჩვენმა ხელბურთელებმა წარმატებით იასპარეზეს საკონტინეტთაშორისო თასის გათამაშებაში და ევროპაში მეორე ადგილი დაისაკუთრეს. დაძაბულ ფინალურ შეხვედრაში მათ ნიგერიელებს სძლიეს და მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის უფლება მოიპოვეს*

ამჟამად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ხორვატიაში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. გუნდის შემადგენლობაში აჭარიდან ხუთი ხელბურთელია - ნიკოლოზ შერვაშიძე, ნუგზარ ტარიელაძე, ანრი აბულაძე, თემურ ქამადაძე, გივი ზაქარაძე. ისინი ამავდროულად, აჭარის ნაკრები გუნდის წევრები გახლავთ.

მსოფლიო ჩემპიონატი 2-13 აგვისტოს ზაგრებში გაიმართება. კენჭისყრის შედეგად 32 გუნდისგან 8 ჯგუფი ჩამოყალიბდა. F ჯგუფში საქართველოს ნაკრები ნორვეგიას, მონტენეგროს და მაკედონიას დაუპირისპირდება.

ბათუმში დაბრუნებულ ქართველ ხელბურთელებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიჟარაძე, მოადგილე ირაკლი აბულაძე, დეპარტამენტის სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ. მათ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს წარმატება მიულოცეს და სამახსოვრო საჩუქრები გადასცეს.



- ნიგერიასთან დაძაბული შეხვედრის მოგებამ, მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოგვაპოვებინა. მართალია, იქ ყველაფერი უფრო რთულად იქნება, მაგრამ მაქსიმალურს გავაკეთებთ მოგებისთვის. სამთვიანი შეკრება ერთმანეთის უკეთ გაცნობასა და შეთამაშებაში დაგვეხმარება, რაც წარმატების საწინდარია, - გვითხრა საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ნიკა შერვაშიძემ.

- სასიხარულოა, რომ საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრებმა ჯგუფში მეორე ადგილი დაისაკუთრა და მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. ეს მნიშვნელოვანი წარმატებაა - აღნიშნა აჭარის ხელბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ ურუშაძემ.